პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 51 (11662)

სამშაბათი, 1 მარტი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მოლაპარაკება

ბოგორი, 28 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს შუადღემდე ბოგორში გაიმართა მეორე ოფიციალური მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს სუკარნოს შორის.

მოლაპარაკებაში აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი.

ინდონეზიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო, უშიშროების მინისტრი გენერალი ნასუტიონი, უმაღლესი სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუსლან აბდულგანი, განათლებისა და კულტურის მინისტრი პრიიონო, ეროვნული საგეგმო საბჭოს თავმჯდომარე მოჰამედ იამინი, მშენებლობისა და განვითარების მინისტრი ჰაირულ სალეჰი, წარმოების მინისტრი ბრიგადის გენერალი სუპრაჯოგი, სახალხო მრეწველობის მინისტრი გენერალ-მაიორი სუხარტო და პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ტამზილი.

ოფიციალური მოლაპარაკება ამით დამთავრდა. საღამოს გაიმართა დოკუმენტების ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია. ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებას, მეორე გენერალურ შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივი განცხადება

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სუკარნოს მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში იმყოფებოდა 1960 წლის 18 თებერვლიდან 1 მარტამდე. ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. თაიროვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ს. ემელიანოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ინდონეზიაში ყოფნისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ქალაქებს — ჯაკარტას, ბოგორს, ბანდუნგს, ჯოკიაკარტას, სურაბაიასა და კუნძულ ბალის. ზოგიერთი თანმხლები პირნი — ნ. ა. მიხაილოვი, ს. ა. სკაჩკოვი — ეწვივნენ აგრეთვე ქალაქებს სოლოსა და ამბონს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს ინდონეზიელი ხალხი ყველგან სტუმართმოყვარულად და მეგობრული გრძნობებით ხვდებოდა.

აღნიშნულ ადგილებში ყოფნის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვებით გამოვიდა სახალხო წარმომადგენელთა საბჭოში (პარლამენტი) ჯაკარტაში, „გაჯა მადის“ უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა წინაშე ჯოკიაკარტაში და მასობრივ მიტინგზე სურაბაიაში. გარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ზოგიერთი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, ჯაკარტის სტადიონის მშენებლობა, ერთ-ერთი ობიექტი, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება. ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ ინდონეზიური ხელოვნების წარმოდგენებს მთელ რიგ იმ ადგილებში, სადაც იყვნენ.

ვიზიტმა ხელსაყრელი შესაძლებლობა მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გაეზიარებინა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სუკარნოსათვის აზრები სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც ეხება ორივე ქვეყნებს შორის ურთიერთობას, აგრეთვე მთლიანად საერთაშორისო საკითხებზე. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა გულითადობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ურთიერთობას, რომელიც სასიკეთოდ ვითარდება, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, აღინიშნა, რომ ამ მეგობრულ ურთიერთობაში ორივე მთავრობა მტკიცედ იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს ერთიმეორის საქმეებში ჩაურევლად, როგორც ეს ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის 1956 წლის სექტემბრის ერთობლივ განცხადებაში, როცა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი პირველი ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის 1955 წლის კონფერენციის რეზოლუციის პრინციპებს.

ორივე მთავრობამ კვლავ დაადასტურა, რომ კოლონიალიზმის ყველა გამოვლინება ლიკვიდირებულ უნდა იქნას და რომ მათი ლიკვიდაცია შეესაბამება მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მთავრობამ სავსებით დაუჭირა მხარი ინდონეზიის რესპუბლიკის უფლებასა და მოთხოვნას დასავლეთ ირიანის მიმართ. ორივე მთავრობა სავსებით უჭერს მხარს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ახლა განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება აფრიკის კონტინენტზე. ორივე მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ ყველა ხალხი მალე მიიღებს სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, რადგან ეროვნული დამოუკიდებლობა საარსებო მნიშვნელობის წვლილია ხალხთა შორის მშვიდობის საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა დიდ იმედს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა თათბირი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რაც ამჟამად მიმდინარეობს ჟენევაში, შეძლებს მალე მიაღწიოს ხელსაყრელ შეთანხმებას, რომლის დადებაც ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. ასეთი შეთანხმება და მისი განხორციელება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საყოველთაო განიარაღების საქმეში მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

ორივე მთავრობას ფრიად დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირონ ატომური იარაღის ყველა გამოცდის მალე შეწყვეტის იდეას, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, რომელიც მისმა უკანასკნელმა სესიამ მიიღო.

აზრთა ურთიერთგაზიარების მსვლელობაში განხილულ იქნა უმაღლესი დონის პარიზის მომავალი თათბირის საკითხი. ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობამ იმედი გამოთქვა, რომ უმაღლესი დონის აღნიშნული თათბირი შეძლებს დაიწყოს განიარაღების რეალურ ღონისძიებათა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ცივი ომის ლიკვიდაციის სხვა ღონისძიებათა განხორციელება. ამასთან დაკავშირებით ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის წინადადებას სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ და იმედს გამოთქვამს, რომ ეს წინადადება შეიძლება განხორციელდეს. ინდონეზიის რესპუბლიკას მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის ინიციატივა — თავისი არმიის 1.200 ათასი კაცით ახალი შემცირება — დასახელებული იდეალების მისაღწევად გადადგმული ნაბიჯია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვეს, რომ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი ყოველი უთანხმოება მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მოწესრიგდეს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ იარაღის ვერავითარი გამოყენება ან ძალის გამოყენების ვერავითარი მუქარა ვერ გადაჭრის საერთაშორისო პრობლემებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადაჭრით დაგმეს იმის ყოველგვარი ცდა, რომ სახელმწიფოებმა გამოიყენონ ძალა და ძალის გამოყენების მუქარა სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების გადაჭრისას, და რწმენა გამოთქვეს, რომ სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრისას ძალის გამოყენების პოლიტიკას საბოლოოდ უარყოფს ყველა სახელმწიფო, რადგან იგი არ შეესაბამება ხალხთა მისწრაფებას დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისადმი.

ასეთი პოლიტიკის დაგმობა რომ საჭიროა, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ახალი ომი მოსპობის თანამედროვე საშუალებათა პირობებში უდიდესი უბედურება იქნებოდა კაცობრიობისათვის. ამიტომ ორივე მთავრობას მიაჩნია, რომ ყოველი ცდა — დავა და უთანხმოება გადაიჭრას ძალის ან ძალის მუქარის გამოყენების გზით, დანაშაული იქნება მშვიდობის წინააღმდეგ, კაცობრიობის ღირსებისა და სინდისის წინააღმდეგ.

ორივე მთავრობას მიაჩნია, რომ ცივი ომის არსებული ნაშთები და გამალებული შეიარაღება ლიკვიდირებულ უნდა იქნას, რათა კაცობრიობა განთავისუფლდეს ომის შიშისაგან. ეს დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება მტკიცე საყოველთაო მშვიდობის დამყარების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით ორივე მთავრობას მიაჩნია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და აზრთა ურთიერთგაზიარება, რაც მოხდა ამ ვიზიტის დროს, უდიდესი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. ორივე მთავრობას იმედი აქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში და საუბრები ამ ვიზიტის დროს შემდგომ დადებით შედეგებს გამოიწვევს.

ორივე მთავრობამ გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვენ იმას, რომ ტექნიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები განვითარდნენ ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფის მიმართულებით და, ამრიგად, საბოლოო ანგარიშით ლიკვიდირებულ იქნას განსხვავება ცხოვრების დონეში მრეწველობის მხრივ დიდად განვითარებულ ქვეყნებსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც განვითარებული მრეწველობა არა აქვთ. განიარაღება შესაძლებელს გახდის დაჩქარდეს ლიკვიდაცია განსხვავებისა სუსტადგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონესა და დიდადგანვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ცხოვრების დონეს შორის. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძვლებს.

სსრ კავშირისა და ინდონეზიის მთავრობები იზიარებენ აზრს, რომ უმაღლეს დონეზე თათბირი, რომელიც მაისში იქნება მოწვეული პარიზში, მხოლოდ დასაწყისი იქნება მთელი რიგი თათბირებისა უმაღლეს დონეზე, ამასთან არა მარტო იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღების შესახებ, არამედ იმისთვისაც, რომ გამოიძებნოს და შეიქმნას მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობის უფრო ჯანსაღი საფუძველი, რათა მიღწეულ იქნას პროგრესი და ხალხები განთავისუფლებულ იქნან ახალი ომის საფრთხისაგან.

ორივე მთავრობა იმ აზრისაა, რომ საყოველთაო მშვიდობის დაცვის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები ეხება არა მარტო ოთხი დიდი სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე ყველა სხვა ხალხის ინტერესებს. ამიტომ ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ უმაღლეს დონეზე შემდგომი შეხვედრების დროს იმ პრობლემების გადაჭრის მიზნით, რომლებიც მსოფლიოს ბედს, მთელი კაცობრიობის ბედს ეხება, მიწვეულ იქნებიან აღნიშნული პრობლემების განხილვაში მონაწილეობისათვის სხვა ქვეყნებიც, მათ შორის ისინი, რომლებიც არსებული სამხედრო კავშირების მონაწილენი არ არიან, მათ შორის აზიისა და აფრიკის შესაბამისი ქვეყნები.

ორივე მთავრობას მიაჩნია, რომ სამხედრო კავშირებში მონაწილეობის მიუღებლობის ნეიტრალური, აქტიური, დამოუკიდებელი პოლიტიკა დადებითი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში. ამასთან დაკავშირებით ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ინდონეზია მტკიცედ იცავს თავის აქტიურ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, არსებულ სამხედრო კავშირებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხი და მთავრობა პატივს სცემენ ინდონეზიის აქტიურ და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და რომ ეს პოლიტიკა დიდმნიშვნელოვანი წვლილია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მან აღნიშნა თვალსაჩინო როლი ინდონეზიელი ხალხისა, რომელიც პრეზიდენტ სუკარნოს ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ახორციელებს ამ პოლიტიკას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განიხილეს ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხები. მათ დაადასტურეს, რომ 1956 წლის 15 სექტემბრის გენერალური შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ წარმატებით ხორციელდება, რის გამო ორივე მხარე კმაყოფილებას გამოთქვამს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სხვადასხვა მშენებლობას, როგორც ისეთებს, რომლებიც უკვე ხორციელდება, ისე დაპროექტების სტადიაში მყოფ მშენებლობებსაც. ორივე მთავრობის მეთაურებმა განიხილეს ინდონეზიისათვის დახმარების გაწევისა და ინდონეზიის მთავრობის თხოვნასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მიერ ახალი კრედიტის მიცემის საკითხი იმ პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებიც შეტანილია უახლოეს მომავალში ინდონეზიის განვითარების გენერალურ გეგმაში. კერძოდ, გათვალისწინებულია ფოლადსამსხმელო, მეტალურგიული, ქიმიური და სხვა ქარხნების, საფეიქრო ფაბრიკებისა და სხვა ობიექტების დაპროექტება და მშენებლობის განხორციელება.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მისაცემი კრედიტის თანხა 250 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება. მიცემული კრედიტი გრძელვადიანია და შეღავათიანია პირობების მიხედვით. შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

სსრ კავშირის მთავრობა დახმარებას გაუწევს ინდონეზიას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პროგრამით სამუშაოთა ზოგიერთი ობიექტის შესრულებაში, ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1956 წლის 15 სექტემბერს ხელმოწერილი გენერალური შეთანხმების შესრულების წესით. ამ დახმარებაში შევა ატომური რეაქტორის მიწოდება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელებისათვის და სპეციალისტთა სწავლებას. საბჭოთა მთავრობა ინდონეზიის მთავრობას მიაწვდის მოწყობილობას და დახმარებას გაუწევს ტექნიკური კადრებისა და სპეციალისტების მომზადებაში. ამ საკითხზე დაიდება სპეციალური შეთანხმება.

ვაჭრობის დარგში ორივე ქვეყანას შორის მიღწეულია გარკვეული პროგრესი, და საქონელბრუნვა მათ შორის დიდდება. შემდგომი პროგრესის მიღწევის მიზნით ორივე მხარე შეთანხმდა გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების დადებაზე. ეს შეთანხმება შეეხება საბჭოთა კავშირის მიერ მეტი მოცულობით, ვიდრე დღემდე, ინდონეზიური კაუჩუკისა და ინდონეზიის ტრადიციული ექსპორტის სხვა საქონლის შესყიდვას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ იმ საქონლის მიწოდებას, რომელიც ინდონეზიის მხარეს აინტერესებს.

ორივე მხარე იზიარებს აზრს, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოება ურთიერთსარგებლობის საფუძველზე განამტკიცებს მთლიანად ურთიერთობას სახელმწიფოთა შორის.

საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოთა შორის კულტურული ურთიერთობა, ამ სიტყვის უაღრესად ფართო აზრით, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხებს შორის უკეთესი ურთიერთგაგების მიღწევას და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ორივე მთავრობა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ინდონეზიაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტის დროს ორივე ქვეყანას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ამ შეთანხმების შესრულება უეჭველად განამტკიცებს კულტურულ ურთიერთობასა და მეგობრობას ჩვენს ხალხებს შორის. გადაწყდა ამ შეთანხმების საფუძველზე შედგენილ იქნას კულტურული და მეცნიერული გაცვლის პროგრამები 1960 წლისათვის, ხოლო შემდეგ 1961-1962 წლებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინდონეზიაში ყოფნის დროს პრეზიდენტ სუკარნოს აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ორივე ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ნიშნად ინდონეზიის რესპუბლიკას საჩუქრად აუგოს ჰოსპიტალი ჯაკარტაში 200 საწოლით და პოლიკლინიკა ამ ჰოსპიტალთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინდონეზიის უნივერსიტეტს ქალაქ ჯაკარტაში და „გაჯა მადის“ უნივერსიტეტს ქალაქ ჯოკიაკარტაში საჩუქრად გადასცა საბჭოთა მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკები.

ქალაქ ამბონში საძირკველი ჩაეყარა ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, რომელიც იქმნება საბჭოთა კავშირის დახმარებით და რომელიც მოამზადებს ინდონეზიელი სპეციალისტების კადრებს გემთმშენებლობისა და ოკეანოგრაფიის დარგში.

დასასრულ ორივე მთავრობა კმაყოფილებას გამოთქვამს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის წარმატების გამო, რამაც, საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, აგრეთვე ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების გარდა, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყველა ხალხის აყვავებისათვის, სამართლიანობისა და მტკიცე მშვიდობისათვის საბრძოლველად საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო მიიწვია მეგობრული ვიზიტით ჩავიდეს საბჭოთა კავშირში პრეზიდენტისათვის მოსახერხებელ დროს. ეს მიწვევა პრეზიდენტმა მადლობით მიიღო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი

ინდონეზიის რესპუბლიკის
პრეზიდენტი
სუკარნო

1960 წ. 28 თებერვალი,
ქ. ბოგორი.

შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობამ, ესწრაფვიან რა ორივე ქვეყნის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას საბჭოთა და ინდონეზიელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის 1956 წლის 11 სექტემბრის ერთობლივი განცხადების მეოთხე მუხლის შესაბამისად გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სუკარნო შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი I.

ხელშეკრულების დამდები მხარეები იმ კანონების ფარგლებში, რომლებიც მოქმედებენ თვითეულ ქვეყანაში, და სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ და განავითარებენ ურთიერთ კულტურულ გაცვლას ურთიერთ სარგებლობისათვის.

მუხლი II.

ხელშეკრულების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ თავიანთ შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა კვალობაზე მეცნიერების, უმაღლესი განათლებისა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის, გამოცდილებისა და მიღწევათა გაცვლის განვითარებას დელეგაციებისა და მეცნიერებისა და კულტურის ცალკეულ მოღვაწეთა გაგზავნით, კონცერტების, ლექციების, მხატვრული და მეცნიერული გამოფენების ორგანიზაციით, მეცნიერულ, მხატვრულ და ლიტერატურულ დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა თანამშრომლობის გაფართოებით, რომლებიც მოწოდებული არიან განავითარონ მეცნიერული და კულტურული ცოდნა.

მუხლი III.

ხელშეკრულების დამდები მხარეები ურთიერთ მისაღებ საფუძველზე წაახალისებენ თანამშრომლობას წიგნებისა და ჟურნალების გავრცელების დარგში, აგრეთვე რადიომაუწყებლობისა და კინემატოგრაფიის დარგში ლიტერატურის გაცვლისა და გავრცელების, კინოფილმების დემონსტრაციის გზით, რადიოპროგრამებისა და მუსიკალური ჩანაწერების (გრამოფონის ფირფიტების) გაცვლის, ურთიერთ სარგებლობისათვის კინოაპარატურის, თეატრის რეკვიზიტებისა და სხვა კულტურული ინვენტარის მიწოდების გზით.

მუხლი IV.

ხელშეკრულების დამდები მხარეები თავიანთ შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა შესაბამისად მეორე მხარის მოქალაქეებს, რომლებსაც მათი მთავრობები დანიშნავენ, შესაძლებლობას მისცემენ ისწავლონ სამეცნიერო-ტექნიკურ და სამრეწველო დაწესებულებებში, რომლებიც თვითეულ ქვეყანაშია.

ორივე მხარე თანახმაა, რომ ინდონეზიელ მოსწავლეებს, რომლებმაც დამთავრებული საშუალო განათლება მიიღეს ინდონეზიაში, რაც სათანადო მოწმობის არსებობისას უფლებას აძლევს შევიდნენ ინდონეზიის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ნება მიეცემათ შევიდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სსრ კავშირის მოქმედი კანონებისა და დადგენილებების შესაბამისად, ხოლო საბჭოთა მოსწავლეებს, რომლებსაც უფლება აქვთ შევიდნენ თავიანთი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ნება მიეცემათ შევიდნენ ინდონეზიის უნივერსიტეტებში ინდონეზიის მოქმედი კანონებისა და დადგენილებების შესაბამისად.

მუხლი V.

ხელშეკრულების დამდები მხარეები სურვილს გამოთქვამენ განახორციელონ და განავითარონ უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების ურთიერთ მიწვევა ლექციებისა და ლექციური კურსების წასაკითხავად.

მუხლი VI.

ხელშეკრულების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის სასპორტო ორგანიზაციების თანამშრომლობას სპორტის განვითარების ინტერესებისათვის მთლიანად და, კერძოდ, ორივე ქვეყანას შორის სპორტულ შეჯიბრებათა ორგანიზაციისათვის.

მუხლი VII.

ეს შეთანხმება განხორციელდება მუშაობის იმ ყოველწლიური გეგმების საფუძველზე, რომლებშიც განსაზღვრულია მისი განხორციელების პირობები, მათ შორის დაფინანსება.

აღნიშნული გეგმების განსახილველად ყოველი წლის ბოლოს მოეწყობა მოლაპარაკება დიპლომატიური არხებით.

თუ ორივე მხარე საჭიროდ მიიჩნევს, აღნიშნული მოლაპარაკება შეუძლიათ მოაწყონ რიგრიგობით მოსკოვში და ჯაკარტაში წარმომადგენლებმა, რომლებსაც თვითეული მთავრობა დანიშნავს.

მუხლი VIII.

ეს შეთანხმება ძალაში შედის ნოტების გაცვლის შემდეგ, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ეს შეთანხმება დამტკიცებულია თვითეული მხარის კონსტიტუციის შესაბამისად და ძალა ეკარგება 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა ხელშეკრულების დამდები ერთი მხარე მეორე მხარეს აცნობებს თავის სურვილს შეცვალოს ან შეწყვიტოს მისი მოქმედება.

ეს შეთანხმება დაიდო ქალაქ ბოგორში 1960 წლის 28 თებერვალს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ინდონეზიურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

ნ. ხრუშჩოვი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე

სუკარნო
ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი
და პრემიერ მინისტრი

მეორე გენერალური შეთანხმება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

ემყარება რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას და ითვალისწინებს რა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის გამოცდილებას 1956 წლის 15 სექტემბრის გენერალური შეთანხმების შესრულებაში, ორივე მთავრობა შეთანხმდა დადონ მეორე გენერალური შეთანხმება, რომლის მიზანია შემდგომ შეუწყოს ხელი ინდონეზიის ეკონომიკის საერთო განვითარებას. ამ შეთანხმებას საფუძვლად უდევს ურთიერთსარგებლობა, თანასწორობა, სუვერენიტეტისა და მხარეთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პატივისცემა.

მუხლი I.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანახმაა ითანამშრომლოს ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობასთან სამრეწველო და სხვა ობიექტების, მათ შორის შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა აგებაში, მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენებაში, საფეიქრო საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აგებაში, რომლებიც საჭიროა ინდონეზიის რესპუბლიკის საერთო ეკონომიური განვითარებისათვის.

რაოდენობა და ხასიათი ასეთი და სხვა საწარმოებისა და ობიექტებისა, რომელთა მშენებლობა განხორციელდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დახმარებით, განისაზღვრება უფრო გვიან სტადიაზე მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით და იმ საძიებო და საკვლევ სამუშაოთა შედეგების გათვალისწინებით, რომლებსაც საბჭოთა ორგანიზაციები განახორციელებენ ინდონეზიის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მუხლი II.

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეასრულებენ იმ საწარმოებისა და ობიექტების საძიებო და კვლევით სამუშაოებს, რომლებიც ინდონეზიის რესპუბლიკაში აშენდება სსრ კავშირის დახმარებით.

საძიებო და კვლევითი სამუშაოების ნუსხა, მოცულობა და ვადები, ამ სამუშაოებში მხარეთა მონაწილეობის ხასიათი განისაზღვრება დამატებით შეთანხმებებში, რომლებიც დაიდება ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად.

აღნიშნული ძიებისა და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის მხარეს გაუწევენ შესაბამის კონსულტაციებს.

მუხლი III.

საბჭოთა ორგანიზაციები, გარდა II მუხლში გათვალისწინებული საძიებო და კვლევითი სამუშაოების შესრულებისა, მზად არიან შეასრულონ იმ საწარმოებისა და ობიექტების საპროექტო სამუშაოები, რომლებიც უნდა აშენდეს საბჭოთა კავშირის დახმარებით, მიაწოდონ ამ საწარმოებსა და ობიექტებს მოწყობილობა და მასალები, რომლებიც არ მოინახება ინდონეზიის რესპუბლიკაში, აგრეთვე გაუწიონ ტექნიკური დახმარება მშენებლობაში (კონსულტაციები და საავტორო მეთვალყურეობა), მოწყობილობის მონტაჟსა და გაწყობაში და საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემაში, რისთვისაც ინდონეზიის რესპუბლიკაში გაგზავნიან საბჭოთა სპეციალისტებსა და კვალიფიციურ მუშებს მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადით და რაოდენობით. საბჭოთა ორგანიზაციები აგრეთვე მზად არიან დახმარება გაუწიონ ინდონეზიელ სპეციალისტთა მომზადებას იმ საწარმოებში სამუშაოდ, რომლებიც აშენდება სსრ კავშირის დახმარებით, ადგილზე მათი სწავლების გზით, აგრეთვე ანალოგიურ საბჭოთა საწარმოებში სწავლების გზით.

I მუხლში გათვალისწინებული საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით მოწყობილობისა და მასალების მიწოდების და ტექნიკური დახმარების გაწევის მოცულობა შეთანხმებულ იქნება მხარეთა შორის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და განისაზღვრება დამატებით შეთანხმებებში, რომლებიც დაიდება ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი IV.

საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის მხარეს გადასცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, ინფორმაციასა და ლიცენზიებს, რომლებიც საჭიროა ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად აგებულ საწარმოებში და ობიექტებზე შესაბამისი პროდუქციის წარმოების ორგანიზაციისათვის. წარმოებისათვის საჭირო აღნიშნული დოკუმენტაციისა და ლიცენზიების გადაცემა განხორციელდება უსასყიდლოდ და ინდონეზიის მხარე გადაიხდის მხოლოდ დოკუმენტაციის გამზადებასთან დაკავშირებულ საბჭოთა ორგანიზაციების ფაქტიურ ხარჯებს.

გადაცემული დოკუმენტაცია და ლიცენზიები გამოყენებულ იქნება მხოლოდ ზემოხსენებული პროდუქციის წარმოების მიზნით ინდონეზიის რესპუბლიკის საზღვრებში.

მუხლი V.

სსრ კავშირის მთავრობა ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობას აძლევს კრედიტს 250 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით წელიწადში 2,5 პროცენტის ანგარიშით, ამასთან ინდონეზიას უფლება აქვს ეს კრედიტი 7 წლის განმავლობაში გამოიყენოს საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესრულებულ საპროექტო სამუშაოთა და სსრ კავშირიდან ინდონეზიაში გაგზავნილი იმ მოწყობილობისა და მასალების ასანაზღაურებლად, რაც საჭიროა იმ საწარმოებისა და ობიექტებისათვის, რომლებიც აშენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი VI.

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა მისთვის V მუხლის თანახმად მიცემულ კრედიტს დაფარავს ყოველი საწარმოსა და ობიექტის მიხედვით ცალცალკე 12 წლის განმავლობაში თანასწორ ყოველწლიურ ნაწილებად, დაწყებული ერთი წლის შემდეგ სსრ კავშირიდან საწარმოს ან ობიექტისათვის მიცემული მოწყობილობისა და მასალების კომპლექსური მიწოდების დამთავრებიდან.

კრედიტს პროცენტები დაერიცხება კრედიტის შესაბამისი ნაწილის გამოყენების თარიღიდან და გადახდილ უნდა იქნას იმ წლის მომდევნო წლის პირველ კვარტალში, რომლისთვისაც ისინი იქნენ დარიცხული.

მუხლი VII.

კრედიტის დაფარვას და კრედიტზე დარიცხული პროცენტების გადახდას ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა აწარმოებს საბჭოთა კავშირში ინდონეზიის საქონლის მიწოდების გზით ან გირვანქა სტერლინგებით, აგრეთვე სხვა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და ინდონეზიის ბანკს შორის შეთანხმების საფუძველზე.

მხარეები სამი თვით ადრე კრედიტის დაფარვისა და კრედიტზე პროცენტების გადახდის მორიგი წლის დაწყებამდე შეათანხმებენ ყოველი კალენდარული წლისათვის საქონლის ნომენკლატურასა და ფასებს, აგრეთვე მისი მიწოდების რაოდენობასა და ვადებს.

კრედიტის დაფარვისა და კრედიტზე პროცენტების გადახდის დროს გირვანქა სტერლინგებით ან სხვა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით გირვანქა სტერლინგების ან სხვა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტის გადაანგარიშება ამერიკულ დოლარებად იწარმოებს გადახდის დღეს არსებული პარიტეტით.

მუხლი VIII.

კრედიტის გამოყენებისა და დაფარვის და კრედიტზე დარიცხვების გადახდის აღრიცხვის მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ინდონეზიის ბანკი გახსნიან სპეციალურ საკრედიტო ანგარიშებს და დაადგენენ აღნიშნული ანგარიშების და კრედიტზე ანგარიშსწორების წარმოების ერთობლივ ტექნიკურ წესს.

მუხლი IX.

საბჭოთა მხარის ხარჯებს, რაც დაკავშირებული იქნება საბჭოთა სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების მივლინებასთან ინდონეზიის რესპუბლიკაში და ინდონეზიელ მოქალაქეთა მიღებასთან სსრ კავშირში საწარმოო-ტექნიკური სწავლებისა და პრაქტიკის გასავლელად, აანაზღაურებს ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა ინდონეზიური რუპიებით იმ სპეციალურ ანგარიშზე შესაბამისი თანხების ჩარიცხვის გზით, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი გახსნის ინდონეზიის ბანკში იმ საბჭოთა ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც ამ სამსახურს გაუწევენ. ამ ანგარიშის თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას საბჭოთა ორგანიზაციების მიმდინარე ხარჯებისათვის ინდონეზიის რესპუბლიკაში, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და ინდონეზიის ბანკს შორის შეთანხმებით, სხვა გადასახდელებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ამერიკული დოლარისადმი ინდონეზიის რუპიის პარიტეტი, რომელიც ამჟამად შეადგენს 45 ინდონეზიურ რუპიას 1 ამერიკულ დოლარში, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ინდონეზიის ბანკი განახორციელებენ ამ მუხლში აღნიშნული სპეციალური ანგარიშის სალდოს შესაბამის გადაანგარიშებას.

მუხლი X.

ამ გენერალური შეთანხმებით გათვალისწინებული საძიებო, კვლევით და საპროექტო სამუშაოების შესრულებას, მოწყობილობისა და მასალების მიწოდებას, საბჭოთა სპეციალისტების მივლინებას ინდონეზიის რესპუბლიკაში და ინდონეზიელ მოქალაქეთა სასწავლებლად მიღებას სსრ კავშირში აწარმოებენ საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის იმ ორგანიზაციებთან დადებული კონტრაქტების საფუძველზე, რომლებსაც ამას დაავალებს ინდონეზიის მთავრობა.

ამ კონტრაქტებში დაწვრილებით იქნება განმარტებული ამ გენერალური შეთანხმებით მოწყობილობისა და მასალების მიწოდების და სამსახურის გაწევის მოცულობა, ფასები, ვადები და სხვა პირობები.

ეს გენერალური შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას თვითეულ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც უნდა მოხდეს მოსკოვში.

შესრულებულია ქ. ბოგორში 1960 წლის 28 თებერვალს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ინდონეზიურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

ნ. ხრუშჩოვი
სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე

სუკარნო
ინდონეზიის რესპუბლიკის
პრეზიდენტი

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებასა და შეთანხმებებს

ბოგორი, 28 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ). დღეს ბოგორში პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა ოფიციალური ცერემონია, რომელზეც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებას, სსრ კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის მეორე გენერალურ შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

ერთობლივ განცხადებასა და შეთანხმებებს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ.

ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. თაიროვა, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ინდონეზიაში პ. ს. კუზნეცოვი.

ინდონეზიის მხრივ დაესწრნენ: პირველი მინისტრი ჯუანდა, საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო, უმაღლესი სათათბირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუსლან აბდულგანი, ეროვნული საგეგმო საბჭოს თავმჯდომარე მოჰამედ იამინი, მშენებლობისა და განვითარების მინისტრი ჰაირულ სალეჰი, წარმოების მინისტრი ბრიგადის გენერალი სუპრაჯოგი, სახალხო მრეწველობის მინისტრი გენერალ-მაიორი სუჰარტო, განათლებისა და კულტურის მინისტრი პრიიონო და მთავრობის სხვა წევრები.

ამ დოკუმენტების ხელმოწერის გამო ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მაგრად ჩამოართვეს ხელი და მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

ჯაკარტა, 29 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ნეგარის სასახლეში ინდონეზიელი და უცხოელი კორესპონდენტებისათვის გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა განცხადება:

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

ძვირფასო მეგობრებო!

ბატონებო!

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სუკარნოს თავაზიანი მოწვევით ჩვენ ბედნიერი შესაძლებლობა გვქონდა ვყოფილიყავით თქვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში, შევხვედროდით ბევრ ადამიანს.

ვიზიტის დროს გვქონდა დიდმნიშვნელოვანი, გულახდილი და მეტად სასარგებლო საუბრები ჩვენს მეგობართან პრეზიდენტ სუკარნოსთან და ინდონეზიის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან საერთაშორისო პრობლემათა ფართო წრის შესახებ და ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

თქვენ, რა თქმა უნდა, გაინტერესებთ საკითხი, კმაყოფილი ვართ თუ არა ჩვენ მოლაპარაკების შედეგებით, ჩვენი ვიზიტის შედეგებით? დიახ, ძალიან კმაყოფილი ვართ. როგორც თქვენ უკვე იცით, გუშინ ხელი მოვაწერეთ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებას, გენერალურ შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის კულტურული ურთიერთობის განვითარების შესახებ. ეს დოკუმენტები გამსჭვალულია ურთიერთგაგების სულისკვეთებით, ისინი სახავენ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის ფართო პერსპექტივებს მშვიდობიანი თანაარსებობის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების პრინციპების საფუძველზე. ჩვენ ეს დოკუმენტები მიგვაჩნია დიდმნიშვნელოვან წვლილად „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ყველა ხალხთა ბრძოლის საერთო საქმეში.

ჩემთვის სასიამოვნოა ვაცნობო პრესის წარმომადგენლებს, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიწვია პრეზიდენტი სუკარნო კვლავ ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში თავისთვის მოსახერხებელ დროს. იგი დათანხმდა ჩვენს მიწვევაზე, და ჩვენ დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ ამასთან დაკავშირებით.

თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ჩვენ მივიღეთ ბევრი წერილობითი და სიტყვიერი მიწვევა ჩავსულიყავით სხვადასხვა ქალაქში, მონაწილეობა მიგვეღო შეხვედრებსა და სახალხო დღესასწაულებში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მიწვევა გამოგვიგზავნა. დიდად ვწუხვართ, რომ არა გვაქვს შესაძლებლობა ვისარგებლოთ ყველა მეგობრული მიწვევით, რადგან ფიზიკურად ვერ შევძლებთ ამას.

გულახდილად ვიტყვი — იშვიათად გვინახავს ინდონეზიის მთა-ბარსა და ზღვებზე უფრო მშვენიერი რამ. თქვენი ქვეყნის ბუნება ზღაპრულად უხვია. მომეწონა თქვენი საუცხოო მხარე და განსაკუთრებით მომეწონა შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე და სალმიანი ადამიანები.

თქვენი მიწა-წყალი მდიდარია, მაგრამ თვითონ ბუნება კი არ ასაზრდოებს ადამიანებს, განსაკუთრებით, თუ ბუნებას უცხოელები ფლობენ. ხოლო თქვენს გაფურჩქნულ პალმებს ქვეშ უბრალო ადამიანები ნახევრადმშიერნი ცხოვრობდნენ იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ისინი კი არ იყვნენ თავიანთი ქვეყნის, მისი სიმდიდრის ბატონ-პატრონები, არამედ კოლონიზატორები. კოლონიზატორთა ხანგრძლივმა ბატონობამ დატოვა მძიმე შედეგი — ეკონომიური ჩამორჩენილობა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა. და ეს ბრძოლა ადვილი როდია.

თქვენი ქვეყანა განთავისუფლდა კოლონიური მონობის ბორკილისაგან. ბოლო მოეღო შეუწყნარებელ მდგომარეობას, როცა ვეებერთელა ქვეყანა, მისი 90-მილიონიანი ხალხი უცხოელთა ტირანიას განიცდიდნენ. საბჭოთა ადამიანები ყოველთვის იმათ მხარეზე არიან, ვისაც სურს დამოუკიდებლობა, მშვიდობა და აყვავება, თქვენს მხარეზე არიან, მეგობარო ინდონეზიელებო. არ შეიძლება, რომ რომელიმე თავისუფალ ხალხს არ სურდეს თავისუფლება ყველა სხვა ხალხისთვისაც. საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის საფუძველთა საფუძველია ყველა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებელი განვითარების უფლების აღიარება.

აღმოსავლეთის ბევრმა ქვეყანამ უდიდესი წვლილი შეიტანა ადამიანის კულტურის განვითარებაში. ჩინეთს, ინდოეთს, ინდონეზიას, ბირმას ძველი და მდიდარი კულტურა აქვთ. მაგრამ შემდეგ აზიის ქვეყნების განვითარებას სერიოზული ზარალი მიაყენეს. ევროპელი კოლონიზატორები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ აზიაში თავიანთ „ცივილიზაციას“ და საუკუნეობით შეაფერხეს მათ მიერ დამონებული ქვეყნების განვითარება.

დიდი ხნის განმავლობაში აზიის ბევრი ქვეყანა მხოლოდ სანედლეულო დანამატი იყო ეკონომიურად განვითარებული კოლონიური სახელმწიფოების მცირე ჯგუფისა, რომლებმაც აურაცხელი განძეული გაზიდეს ამ ქვეყნებიდან. კოლონიალიზმის, კაცობრიობის ისტორიაში ამ საშინელი და სამარცხვინო მოვლენის პოლიტიკის საშუალებით მრავალი წლის მანძილზე ხელოვნურად ფერხდებოდა აგრეთვე ისეთი უმდიდრესი ქვეყნის განვითარება, როგორიც ინდონეზიაა. კოლონიზატორები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა აქ არ განვითარებულიყო მრეწველობა, ხალხს დახშული ჰქონდა მეცნიერებისა და კულტურის გზა.

მაგრამ დგება კოლონიალიზმის აღსასრული. ჩვენს დროში აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომლებშიც ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის მეტი ნაწილი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ კაცობრიობის ყველა საქმეში, მსოფლიო პრობლემათა გადაჭრაში, მსოფლიოს ბედის განსაზღვრაში. მომავალში აღმოსავლეთის ხალხთა როლი განუხრელად გაიზრდება. ისინი შეძლებენ მით უფრო ეფექტიანად შეასრულონ ეს როლი, რაც უფრო მალე მოიპოვებენ სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობა და საფუძველს ჩაუყრიან თავიანთი ქვეყნების სწრაფ სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ნათელი და გასაგებია. ჩვენ ვეწევით უაღრესად ფართო თანამშრომლობას, უანგარო ეკონომიურ დახმარებას ვუწევთ ამ ქვეყნებს. ეკონომიური კულტურული და სხვა თანამშრომლობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი აზიის ქვეყნებთან ამყარებს, ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის შექმნას და მშვიდობის განმტკიცებას. ეს კი საბჭოთა კავშირის მთავარი მიზანია საერთაშორისო ურთიერთობაში. სხვა მიზანი საბჭოთა კავშირს არ ჰქონია და არცა აქვს.

ჩვენ გულწრფელად გვსურს დავეხმაროთ ეკონომიურად სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს აღმოფხვრან კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობა, შექმნან სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის წანამძღვრები. საბჭოთა კავშირის შეღავათიანი კრედიტები განკუთვნილია სახალხო მეურნეობის დიდი საკვანძო ობიექტების დასაფინანსებლად, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. მთელი სახსრები და მატერიალური ფასეულობანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი დახმარების წესით იძლევა, მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ადამიანების შრომით არის შექმნილი.

მაგრამ ყოველი დახმარება, ყოველი თანამშრომლობა უსარგებლო იქნება, თუ კაცობრიობამ ვერ გადაჭრა უმნიშვნელოვანესი პრობლემა — ვერ უზრუნველყო ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა, მსოფლიო, სადაც არ იქნება იარაღი, არ იქნება დაძაბულობა, არ იქნება ცივი და ცხელი ომი. ამ საკითხის გადაჭრის საშუალებაა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის განხორციელება.

1959 წელმა მოგვიტანა საერთაშორისო ვითარების შენელება, დაგვანახვა, რომ თუ კეთილი ნებაა, შეიძლება კარგ შედეგებს მივაღწიოთ.

1960 წელი კეთილი ნიშნებით იწყება. დასახულია დიდი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის პირად ურთიერთობასა და კონტაქტებზე, როგორც გამოცდილება ადასტურებს, ბევრი რამ არის დამოკიდებული. საბჭოთა კავშირი ხალისით თანხმდება ასეთ შეხვედრებსა და კონტაქტებზე იმ ნათელი მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის შენარჩუნება, აღმოიფხვრას ახალი ომის წარმოშობის საფრთხე.

რა თქმა უნდა, დახმარება სხვადასხვანაირად შეიძლება. არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან გაჭირვების ჟამს „ხელი გაუმართონ“ ვინმეს, „იხსნან“, მაგრამ შემდეგ ისეთ პროცენტს იღებენ, რომ „გაბედნიერებული“ მზად არის იდაყვები დაიჭამოს, ან არა და პირდაპირ მარყუჟში გაჰყოს თავი. ბოლოს და ბოლოს ის, ვისაც ასეთ „დახმარებას“ უწევენ, კიდევ უფრო ღარიბდება, ხოლო ვინც „დახმარებას“ უწევს, კიდევ უფრო მდიდრდება პირველის ხარჯზე. ნაძარცვი ფულის ნაწილი ხმარდება ახალ „დახმარებას“, და სიმდიდრე ამგვარად მატულობს. შეიძლება დახმარება გავუწიოთ სხვა პრინციპის მიხედვითაც — აჰა ღმერთო, შენ, რაც ჩემთვის არ ვარგა! ასეთ „დახმარებას“ ხშირად ვხვდებით საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში.

არსებობს აგრეთვე ნამდვილი დახმარება, როცა ერთი ქვეყანა უანგაროდ ეხმარება სხვა ქვეყნებს განიმტკიცონ ეკონომიკა, გახდნენ ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ახლა ყველა უწინაზრახვო ადამიანი ხედავს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების პროგრამა სულ უფრო მეტი აღიარებით სარგებლობს. ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობანი ამ მხრივ იზრდება. აი ზოგიერთი მაგალითი. ინდონეზიის რესპუბლიკას ამ უკანასკნელ დრომდე არ ჰქონია საკუთარი სამამულო მეტალურგია, თუმცა ინდონეზიაში რკინის მადნებისა და ფერადი ლითონების უმდიდრესი ბუდობებია. საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს ინდონეზიას მსხვილი სამრეწველო საწარმოების, მათ შორის შავი და ფერადი მეტალურგიის ქარხნების, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის საწარმოების აგებაში, ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში. ინდოეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა ბჰილაის დიდი მეტალურგიული ქარხანა, შენდება მანქანათსამშენებლო და სხვა საწარმოები. საბჭოთა გეოლოგები და მენავთობეები დაეხმარნენ ინდოელ მეგობრებს აღმოეჩინათ ნავთობის ბუდობები და დასაბამი მიეცათ ნავთობმომპოვებელი მრეწველობისათვის. უეჭველია, თქვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირი ასეთსავე მეგობრულ დახმარებას უწევს სხვა ქვეყნებსაც.

ბატონებო!

მეგობრებო!

მე პირველად როდი ვხვდები პრესის წარმომადგენლებს. მოხარული ვარ, რომ დღეს შესაძლებლობა მაქვს ვესაუბრო ჟურნალისტებს, რომლებიც ინდონეზიის ახალგაზრდა რესპუბლიკის ახალგაზრდა ეროვნული პრესის წარმომადგენელნი არიან. თქვენი ხალხის წინაშე დიდი და საპატიო ამოცანები დგას. პრესას შეუძლია დაეხმაროს თავის ხალხს სწორად გაერკვეს ყველა საქმეში და ამით უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს თქვენი ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრაში.

მინდა გისურვოთ, რომ ერთგულად ემსახუროთ თქვენს ხალხს, თქვენს ქვეყანას, მშვიდობის საქმეს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ინდონეზიის პრესა კვლავაც შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირთან, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან ინდონეზიის მეგობრობის განმტკიცებას.

გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ ეს მეგობრობა. ეს სურთ ჩვენს ხალხებს, ამას მოითხოვს მშვიდობის ინტერესები.

ახლა მზად ვარ გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე.

სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1960 წ. 1 მარტიდან შემცირებულია სახელმწიფო საცალო ფასები საშუალოდ: ელექტროსაკერავი მანქანებისა — 20 პროცენტით, საფარდე-ბადისებრი ტილოსი — 23 პროცენტით, მოვერცხლისფრო-შავი და თეთრი მელიის ბეწვის ნაწარმისა — 20 პროცენტით, ბუნებრივი აბრეშუმის ქსოვილებისა და ხელოვნური აბრეშუმის ცალკეული სახეების ქსოვილებისა — 15 პროცენტით, ზოგიერთი მარკის ფოტოაპარატებისა — 30 პროცენტით, ზოგიერთი მარკის რადიომიმღებებისა და სანადირო თოფებისა — 25 პროცენტით, „ვიატკის“ მარკის მოტოროლერებისა — 18 პროცენტით, შესქელებულ რძიანი კაკაოს და ყავის კონსერვებისა — 30 პროცენტით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებით ამა წლის 1 მარტიდან შემცირებულია აგრეთვე სახელმწიფო საცალო ფასები საშუალოდ: ავტოკალმებისა და ავტოფანქრებისა — 20 პროცენტით, უსაშიშრო სამართებლის პირებისა — 30 პროცენტით, გარმონებისა — 20 პროცენტით, საგალანტერეო ნაწარმისა — 5 პროცენტით, მარმელადისა — 18 პროცენტით.

სახელმწიფო საცალო ფასების ამ შემცირებით მოსახლეობა წელიწადზე გაანგარიშებით მიიღებს დაახლოებით 2,5 მილიარდ მანეთ სარგებლობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში

ჯაკარტა, 29 თებერვალი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს ბოგორიდან ჯაკარტაში დაბრუნდა.

დღისით ჯაკარტაში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა განცხადება პრესისათვის და შემდეგ პასუხი გასცა ჟურნალისტთა კითხვებზე.

დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა საბჭოთა საელჩოსა და საბჭოთა კავშირის ჯაკარტის სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა შეკრებილთ მიმართა გულითადი სიტყვით და ინდონეზიაში საბჭოთა კოლონიის წევრებს უსურვა ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი მუშაობაში.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან ერთად მართავენ „ლენინის საღამოებს“, მიძღვნილს ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმი.

პირველი საღამო გაიმართება 2 მარტს 20 საათზე შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში.

ვამოწმებთ სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას

დიდი ქიმია მოითხოვს...

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რესპუბლიკაში. საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდანვე ქარხნის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებდა სახელმწიფო გეგმებს. მაგრამ შარშან სურათი შეიცვალა. ქარხნის ხელმძღვანელობამ შეასუსტა მუშაობა, რასაც მოჰყვა სერიოზული ჩავარდნები პროდუქციის გამოშვების დავალების შესრულებაში, მოდუნდა შრომის დისციპლინა, გახშირდა ავარიები.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს ქარხნის კოლექტივის მუშაობა. რუსთავის ქიმიკოსებმა ეს სამართლიანი კრიტიკა მიიღეს და მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი სერიოზული ღონისძიება განახორციელეს, რამაც მათ საშუალება მისცა წარმატებით დაეწყოთ შვიდწლედის მეორე წელი. იანვარ-თებერვლის გეგმა მათ გადაჭარბებით შეასრულეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა საბოლოოდ გამოსწორდა. მესამე და მეოთხე კვარტალში გეგმით პროდუქციის გამოშვება მკვეთრად უნდა გაიზარდოს. ეს კი რუსთავის ქიმიკოსებისაგან უფრო დაძაბულ და მუყაით მუშაობას მოითხოვს.

ქარხნის მუშაობაში „ვიწრო უბანია" ჟანგბადის სიმცირე. საქმე ის არის, რომ ჟანგბადის კომპრესორების წარმადობა მეტად დაბალია. ამის მოუგვარებლად კი სასუქების გამოშვების გადიდებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ჟანგბადის წარმოების გასადიდებლად საჭიროა დაიდგას ჟანგბადის ახალი ბლოკი, მაგრამ ქარხანას იგი არა აქვს. რამდენი ქაღალდი, მელანი და დრო დაიხარჯა ამ მოწყობილობის დროულად მიღების თაობაზე, შედეგი კი არ ჩანს.

მეთანის კონვერსიის საამქროში საკმაო რაოდენობით არ არის დანადგარები და მოწყობილობა. 5 კონვერტორიდან არც ერთი არ მუშაობს სრული სიმძლავრით.

ქიმიური პროდუქციის ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უმოკლეს ვადაში ამოქმედდეს № 6 კონვერტორი. სამწუხაროდ, ამ ახალი კონვერტორის მონტაჟი ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის მიზეზი ის არის, რომ ქარხანას არა აქვს საზომი ხელსაწყოები და ავტომატური აპარატები. ქიმიკოსები დიდი ხანია ამყარებენ იმედებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოზე და ელიან, რომ მალე მიიღებენ სათანადო ფონდებსა და ხელსაწყოებს, მაგრამ ამაოდ. № 6 კონვერტორის მონტაჟის დასაჩქარებლად სათანადოდ არ იბრძვიან თვით ქარხნისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც.

მეთანის კონვერსიის საამქროს ნორმალურ მუშაობაზე გავლენას ისიც ახდენს, რომ ჯერ კიდევ დაბალია ჰაერსაბერავებისა და ჟანგბადსაბერავების წარმადობა. საჭიროა ქარხნის ხელმძღვანელები აქედანვე შეუდგნენ ამისათვის ზრუნვას.

მთელი რიგი საკითხებია გადასაჭრელი სინთეზის საამქროში. აქ ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ „850" კოშკის მშენებლობა. შემოწმებით გამოვლინდა, რომ მშენებლობის გაჭიანურება გამოწვეულია პოტენციალ-რეგულატორების უქონლობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანადგარების არსებული სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საამქროს სუფთა ჰაერით.

ქარხნის მაღალნაყოფიერი მუშაობა წარმოუდგენელია ისე, თუ კარგად მოწყობილი შხეფსაცივრები არ ექნა. მდგომარეობა ამ მხრივ სავალალოა. ეს საკითხი რომ მოგვარდეს, საჭიროა, ჯერ ერთი, არსებული შხეფსაცივრის შეკეთება, ხოლო შემდეგ ახალი შხეფსაცივრის მშენებლობის დაწყება.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

შრომისა და მეგობრობის ზეიმი

ესოდენ დიდი სიხარული არ ახსოვს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას. აქ შრომისა და მეგობრობის ზეიმი იყო. წითელი ტრანსპარანტები ამშვენებდა ყოველ კუთხეს. ქართული, რუსული, ლიტვური, ლატვიური, სომხური წარწერები კეთილ მობრძანებას უსურვებდნენ სტუმრებს.

დიდ გამარჯვებას ზეიმობდნენ აბრეშუმის მქსოველები. მათ წარმატებით დაამთავრეს შვიდწლედის პირველი წელი, გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 20.300 ათასი მანეთის აბრეშუმის ქსოვილები.

მარტო ესეც საკმარისია იმისათვის, რომ აბრეშუმის მქსოველებს ეზეიმათ. მაგრამ ამ ზეიმს უფრო მეტად ამშვენებდა, შნოსა და ლაზათს აძლევდა ის, რომ ქართველ ფეიქრებთან სტუმრად იყვნენ თანამოსაქმენი სომხეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან... რამდენიმე წელია სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს ეჯიბრებიან საწარმოო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებაში.

და აი ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ შეეჯამებინათ შეჯიბრების გასული წლის შედეგები და დაედოთ ახალი ხელშეკრულება მიმდინარე წლისათვის.

...ფაბრიკის კლუბი ზღვა ხალხს ვერ იტევს. აქ არიან საწარმოს მოწინავე მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები. ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ადიან მოძმე რესპუბლიკების ფეიქართა დელეგაციები.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ზვიადაძემ.

გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგებზე ილაპარაკა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა მ. ბრეგაძემ. მან ფაბრიკის კოლექტივს მიულოცა რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და საკავშირო პროფსაბჭოს სიგელი.

აბრეშუმის მქსოველებს მაღალი ჯილდო გულითადად მიულოცეს რიგის ფაბრიკა „რიგას აუდუმსის" დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. პურპლიშმა, ტალინის ფაბრიკა „პუნანე კოიტის" აბრეშუმის კომბინატის წარმომადგენელმა ლ. ტომბერგმა, კაუნასის „კაუნო აუდინეის" აბრეშუმის ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა პ. ზრაჟდიონისმა, ერევნის ლენინის სახელობის აბრეშუმის კომბინატის დირექტორმა გ. ოგანესიანმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ნიჟევმა და სხვებმა.

ხუთი მოძმე რესპუბლიკის ფეიქართა სოციალისტური შეჯიბრების ჟიურის თავმჯდომარე კაუნასის „კაუნო აუდინეის" აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დელეგაციის ხელმძღვანელი ირ. პეტრაუსკანე დამსწრეთა ტაშის გრიალში აცხადებს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა.

სტუმრებმა ქართველ ფეიქრებს გადასცეს მრავალი საჩუქარი — თავიანთი ფაბრიკის პროდუქცია, წიგნები, ალბომები...

ფაბრიკის დირექტორი ნ. ჟვანია ქართველ ფეიქართა სახელით მადლობას უხდის სტუმრებს მეგობრული მილოცვებისათვის, კეთილი სურვილებისათვის და ამბობს, რომ აბრეშუმის მქსოველები მთელი ენერგიით იბრძოლებენ, რათა კვლავაც შეინარჩუნონ პირველობა.

სტუმრებმა და მასპინძლებმა გააფორმეს ახალი სოციალისტური ხელშეკრულება, იკისრეს ვალდებულება ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის მეორე წლის დავალებები.

საზეიმო სხდომის შემდეგ ფაბრიკის თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

მოძმე რესპუბლიკების ფეიქართა წარმომადგენლები რამდენიმე დღეს დარჩებიან თბილისში. ამ ხნის განმავლობაში ისინი გაეცნობიან თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეები: ა. ამირხანოვა (ერევანი), ვ. პურპლიში (რიგა), მ. ზვიადაძე (თბილისი), ი. პეტრაუსკანე (კაუნასი) და ა. შულცი (ტალინი).

ფოტო ბ. დადვაძისა.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის დ. მაგრიანის გამყვანთა ბრიგადის წევრები ახლა ლენინურ შრომით ვახტზე დგანან და ქვანახშირის მოპოვების ყოველდღიურ დავალებებს 175-200 პროცენტით ასრულებენ.

სურათზე: დ. მაგრიანი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.

კინო

ასე როდი ეძებენ ბედნიერებას...

...მზიას და ელგუჯას უყვართ ერთმანეთი. ელგუჯა უყვარს აგრეთვე ნათელას, რომელიც ელგუჯას არ უყვარს.

...ლადოს უყვარს მზია, რომელსაც ლადო არ უყვარს.

...ლადო უყვარს რამდენიმე ქალიშვილს, რომლებიც ოხრავენ, ეჭვიანობენ, იტანჯებიან იმის გამო, რომ ლადოს ისინი აღარ უყვარს და მთლიანად მზიას ხელში ჩაგდების სურვილით არის შეპყრობილი.

...ლადომ დაიმარტოხელა მზია და აკოცა. (ეს ეპიზოდი ასახულია ფილმის ერთ-ერთ კადრში მეტად უხამსად. მისი აღწერა სამარცხვინოდ მივაჩნია). მზია სილას გაარტყამს ლადოს და გარბის...

...ნათელა ზის კლდის პირას და მწარედ დასტირის ელგუჯასადმი თავის უიმედო სიყვარულს. კლდის ქვევით აბობოქრებული მდინარე მიაგორებს მღვრიე ტალღებს. კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი უსაყვედურებს ელგუჯას, რომ ის გულისხმიერებას არ იჩენს ნათელას მიმართ. ელგუჯა გარბის ნათელასთან. ქალს ფეხი დაუცდება და მდინარეში გადავარდება. ელგუჯა გადახტება მდინარეში მის გადასარჩენად, ამოჰყავს წყლიდან და მინდორზე ფრთხილად დაასვენებს გადარჩენილ ქალიშვილს.

— მიყვარხარ! — ეუბნება ქალიშვილი ვაჟს და კოცნის მას, მაგრამ ვაჟი საჩქაროდ გამოუსხლტება ქალიშვილის მკლავებს და გარბის უკანმოუხედავად. მას ხომ მზია უყვარს.

...მზია ინსტიტუტში ვერ მოხვდა და სოფელში დაბრუნდა. აქ ალბათ შეხვდება ელგუჯას და ბედნიერი იქნება.

აქ თავდება ფილმი „სად არის შენი ბედნიერება, მზია?" (დამდგმელი კ. პიპინაშვილი). შეგიძლიათ დატოვოთ კინოთეატრის დარბაზი და გამოსვლისას გაოცებული შეეკითხოთ საკუთარ თავს: „მაინც რას ამბობს ეს ფილმი?".

მოვლენები თითქოს გაშლილია ჩვენი ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ფონზე. ამ ფონის შესაქმნელად ფილმის ავტორები კიდევაც გვიჩვენებენ მიწის ერთი ნაკვეთის დამუშავებას, გვიჩვენებენ რამდენიმე ხის ძირფესვიანად მოთხრას, გვიჩვენებენ ტრაქტორს, რომელზეც ზის ელგუჯა, ხოლო შემდეგ ნათელა, ვხედავთ საპროექტო განყოფილებას, სადაც რაღაცას ხაზავენ... მაგრამ ყოველივე ეს ჩადგმულია ფილმში მეტად ფრთხილად, ისე რომ „ხელი არ შეუშალოს" სურათის ძირითად ჩანაფიქრს, ძირითად ჩანაფიქრს კი ჩვენ ვიცნობთ — ეს არის ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა სასიყვარულო თავგადასავლის ასახვა. სასიყვარულო ისტორია ფილმში ასახულია შიშველი სახით, ხშირად ზედმეტი ეროტიკული ფერებით.

ყველაფერი ლამაზია, განსაკუთრებით ადამიანები — ახალგაზრდაც და ხნიერიც. სკოლაში სხედან თითქოს შოკოლადის ეტიკეტებიდან ჩამოსული ლამაზი გოგო-ბიჭები, მიწის მუშაობის დროსაც კი საზეიმოდ გამოწყობილ ადამიანებს ვხედავთ, თითქოს სათამაშოდ გამოსულან და არა შრომისათვის.

კინოსურათში სუფევს არა ჭეშმარიტი, არამედ გარეგნული, მოჩვენებითი სილამაზე.

ფილმში არის ლამაზი აგრონომი. ყველა ჭკვიანია ამ სურათში, მხოლოდ მაინცდამაინც ის ერთი უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდა აგრონომი არის ქარაფშუტა და უვიცი. მისი ერთადერთი ფუნქცია ფილმში ის არის, რომ ქარაფშუტა იყოს, სხვამხრივ ის სრულიად ზედმეტია. მშვენიერი მამაკაცი ლადო ჩხეტიანი, თუ დავუჯერებთ სიტყვიერ მტკიცებას, შესანიშნავი ინჟინერია. მაგრამ მისი ინჟინრობა ფილმში სრულიად ზედმეტია, მისი როლი სულ სხვა ხასიათისაა. ლადო ნაჩვენებია სურათში როგორც აღვირახსნილი მოარშიყე.

შეიძლება გვითხრან, რა არის შეუძლებელი ამ კინომოთხრობაში, განა ასეთი ამბავი არ ხდებოდა, არ ხდება ან არ მოხდებაო.

დიახ, ხდებოდა, ხდება, კვლავაც მოხდება. შესაძლოა მოხდეს კიდევ უფრო უმნიშვნელო ამბები, შეიძლება ადამიანთა ცხოვრებაში ხდებოდეს უფრო წვრილმანი სასიყვარულო შემთხვევები, მაგრამ განა ეს ისეთი დიდი სახალხო ხელოვნების თემაა, როგორიც კინოა?

სცენარი დაწერილია გრ. ჩიქოვანის მოთხრობის „სიყვარულის" მიხედვით. მაგრამ ის, რაც კარგია ნიჭიერი ნოველისტის პატარა მოთხრობაში, არ აისახა ფილმში. აქ ყურადღება გამახვილდა შეყვარებულ წყვილებზე, პაწაწინა ბედნიერების მაძიებლებზე.

ჯერ კიდევ ლესინგი ორი საუკუნის წინათ დასცინოდა ხელოვნების იმ მუშაკებს, რომლებიც ცდილობენ პატარა, წვრილმანი ამბებისა და კერძო შემთხვევებისაგან დიდი ხელოვნება შექმნან. ლესინგი ირონიულად წერდა: „ერთი კონა ჩალის ასაწევად საჭირო არ არის სიმძიმეების ამწევი მანქანის ამოქმედება, საჭირო არ არის ნაღმებით ავაფეთქოთ ის, რის გადაბრუნება ფეხის კვრითაც შეიძლება. კოღოს გასატრუსავად საჭირო არ არის კოცონის გაჩაღება".

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი კინორეჟისორი, რომელსაც წარსულში არაერთი მნიშვნელოვანი ფილმით გაუმდიდრებია ქართული კინოხელოვნება, ამ ბოლო დროს სწორედ „კოღოს გასატრუსავად" კოცონს აჩაღებს.

ფილმში შესანიშნავი აქტიორული ძალები მონაწილეობენ. ასეთი მსახიობებით შეიძლება დიდი მხატვრული კინემატოგრაფიული ტილოების შექმნა. ლეილა აბაშიძე (მზია) ამ სურათშიც ამჟღავნებს თავის მდიდარ აქტიორულ მომხიბლაობას. ის მთავარი პერსონაჟია ფილმში და თუ გმირი მაინც არ არის, ეს მსახიობის ბრალი როდია. გმირი ამ სურათს არა ჰყავს.

შეიძლებოდა დადებითი შეფასება მიგვეცა სხვა როლების შემსრულებლებისთვისაც. ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები თამამად უდგანან გვერდით უკვე სახელმოხვეჭილ მსახიობებს. ცუდად როდი ასრულებენ როლებს დ. წეროძე, დ. ძიგუა, რ. ჩხიკვაძე, ო. ხატიაშვილი, მ. ლომიძე, გ. აბაშიძე, ნ. მაღალაშვილი, თ. სეფერთელაძე, ი. უჩანეიშვილი და სხვები, მაგრამ ფილმის არასწორი მხატვრული გააზრება მათ საშუალებას არ აძლევს სრულად გამოავლინონ მდიდარი შესაძლებლობანი.

არა, ისეთი ფილმებით, როგორიც არის „სად არის შენი ბედნიერება, მზია", თბილისის კინოსტუდია თავს ვერ დააღწევს „წვრილმან გრძნობათა ტყვეობას"...

გ. ქელბაქიანი.

გადმოხეთქა „ნარეკვავმა"...

პატიოსანი კოლმეურნეები მოითხოვენ შრომის დეზერტირების, უქნარების გაძევებას კოლმეურნეობიდან

თებერვლის მზიანი დღეა.

სოფელ ჩარდახის მაღლობებიდან ხელისგულივით მოჩანს მუხრანის ვრცელი ველი, რომელიც მშვიდად გაწოლილა არაგვსა და ქსანს შორის, ვერცხლისფერ სარტყლებად შემორტყმია მინდორს სარწყავი არხები. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს და მიწას ოხშივარი ასდის.

ჩემს გვერდით მდგომი ჩარდახელი მექანიზატორი გიორგი ბულაცაშვილი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტს და კარგა ხანს უცქერის მუხრანის ველს. ნეტავ რა ჰგვრის მას სიამოვნებას. ალბათ გაზაფხულის მოახლოება. შესაძლოა ამ ნოყიერი მინდვრების ცქერა ახარებს, ახლა რომ იისფერ ნისლშია გახვეული. ჩვენ გვგონია, რომ მისი კეთილი ღიმილის გამომწვევია ერთიც და მეორეც. აკი ამიტომაც მან დინჯად თქვა:

— ნამდვილად რომ მარგალიტების ბუდეა ეს მინდვრები, ბუნებას სწორედ მანდ დაუბერტყია სიუხვის კალთა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— სრულად ვერ იყენებენ მუხრანელები თავიანთ სიმდიდრეს.

— რა არის ამის მიზეზი?

— რა მოგახსენოთ, შორიდან ძნელი გასაგებია.

— იქნებ გამრჯე ხალხი აკლიათ.

— როგორ გეკადრებათ.

— ალბათ გამგეობა ვერ იჩენს ფხას.

— შესაძლოა ეგეც იყოს მიზეზი. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მუხრანის ველზე ყველაფერი ლაღად ხარობს, სარწყავი არხები პაპანაქება სიცხეშიც უხვად კვებავენ ნიადაგს მაცოცხლებელი წყლით. ჩვენთან — ჩარდახში ყველა ნაკვეთი როდი ირწყვის, მაგრამ მუხრანელებს მაინც ვჯობივართ მოსავლიანობაში, რძისა და ხორცის წარმოებაში, — თქვა გიორგიმ და შემდეგ ეშმაკურად დასძინა:

— აი, იმ პატარა ნარეკვავს ხომ ხედავთ. ერთი ციცქნა მდინარეა, ზაფხულში გოგო-ბიჭები თუ ჭყუმპალობენ მასში, თორემ მოზრდილ ადამიანს კოჭებამდისაც არ მისწვდება, ჰოდა მაგ პატარა წყალმაც იცის ხანდახან მოდიდება, გეგონებათ რაღაცას დიდი ხანია გულში აგროვებდაო, ისე გადმოხეთქავს ხოლმე ნაპირებს. თუ ბიჭი ხარ, მაშინ დაუდექი ნარეკვავს, ჰოდა ასე, თუ მუხრანის ამბები გაინტერესებთ, წადით, იქ დღეს კოლმეურნეობის საანგარიშო კრება ჰქონიათ, და მე მგონია, სწორედ იქ გაიხსენებთ ნარეკვავის ამბავს.

ექვსასზე მეტი კაცი და ქალი დაესწრო მუხრანის კალინინის სახელობის მეურნეობის წევრთა საერთო კრებას. კრებამ საინტერესოდ, ცოცხლად ჩაიარა, მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო თვრამეტმა კოლმეურნემ. დიახ, რომ მრავალმა პატარ-პატარა ნარეკვავმა გადმოხეთქა იმ დღეს ადამიანთა გულებიდან.

საერთოდ მუხრანელები კმაყოფილნი არ არიან არც თავიანთი გამგეობისა და არც საკუთარი შრომისა. ამის საბაბი მათ აქვთ. აი რა თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პეტრე ჩუგუაშვილმა საანგარიშო მოხსენებაში:

— თავის გამოსაჩენი ბევრი არაფერი გვაქვს. შარშან ჩვენ ვერ შევასრულეთ რძის წარმოების გეგმა. ნაცვლად 1.100 კილოგრამისა, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 920 კილოგრამი რძე. ახლა ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის მებაღეობა, მებოსტნეობა და მეფრინველეობა. რით შეგვიძლია ვიამაყოთ? არაფრით. მეღორეობის ფერმაში მხოლოდ 9 დედალორი გვყავს.

რითი იყო სახელგანთქმული ჩვენი მუხრანი? მევენახეობით. ჩვენს კოლმეურნეობაში 41 ჰექტარი ვენახი გვაქვს. მერე რა! ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ჰექტარზე მხოლოდ 16 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, მაშინ როცა მოწინავე კოლმეურნემ შ. დალაქიშვილმა ჰექტარზე 51 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ვალებისაგან ვერ გავთავისუფლდით. სირცხვილით ზოგჯერ რაიონულ ცენტრში წასვლა მეზარება. წახვალ, და მოვალეს შეხვდები. განა ჩვენზე უკეთესი პირობები აქვთ ძალისის, წილკნისა და ჩარდახის მოწინავე კოლმეურნეობებს? გულახდილად რომ ვთქვათ, ისინი ჩვენ შემოგვნატრიან. მართლაც, ჩვენისთანა სახნავ-სათესი არავის არა აქვს. ოღონდ ხელი გაანძრიე, მიწას მზრუნველობით მოეპყარი, და ის ათასწილად აგინაზღაურებს შრომას.

— მაშ რა გვიშლის ხელს? — წამოიძახა ვიღაცამ.

აწითლებულ თავმჯდომარეს ოფლმა დაასხა.

— მე არ ვიცი, რა ვუწოდო იმ ადამიანებს, რომლებიც კოლმეურნის სახელს ატარებენ და სინამდვილეში საერთო საქმეს ღალატობენ, — თქვა თავმჯდომარემ.

— რა ვუწოდოთ და საკოლმეურნეო შრომის დეზერტირები!

— უფრო სწორად, დეზორგანიზატორები, რომლებიც თავიანთ თავსა და მთელ სოფელს არცხვენენ.

— რაც უფრო ადრე გავთავისუფლდებით ცრუ კოლმეურნეებისაგან, მით უკეთესი!

ეს იყო პატიოსანი და შრომისმოყვარე კოლმეურნეთა კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც კოლმეურნეთა უმრავლესობამ ერთსულოვანი ტაშით დაუჭირა მხარი.

პატიოსან, შრომისმოყვარე კოლმეურნეთა მოთმინების ფიალა აივსო!

მაქრო პეპანაშვილს, სოლომონ სანაგაშვილს, ანეტა მიქელოვას, ვანო ოსიპოვს, მაქრო კარაპეტოვს, დავით ამირაშვილს და სხვებს საკუთარ ზურგზე გადააქვთ საკოლმეურნეო წარმოების მთელი სიმძიმე. საზოგადოებრივი შრომა მათი ბედნიერების წყაროა და ბუნებრივია, რომ ისინი თავიანთ რიგებში ვერ მოითმენენ ყალთაბანდებსა და ზარმაცებს. თუმცა ზარმაცი როდი ეთქმის, მაგალითად, ყაზარა ოსიპოვს, რომელიც თავის საკარმიდამო ნაკვეთში ნახევარ ჰექტარ ვენახს სანიმუშოდ უვლის, ხოლო კოლმეურნეობას სათოფედ არ ეკარება.

— რა მოსავალი უნდა მიგვეღო, როცა ჩვენს ბრიგადაში სიით 81 კაცი ირიცხება და სამუშაოდ მხოლოდ 20-25 გამოდიოდა. ჩვენს ნაკვეთებზე შალაფაში კაცი დაიმალებოდა, სიმინდის ნათესს კი ვერ ვპოულობდით, — თქვა კრებაზე მოხუცმა კოლმეურნემ და მერე იქვე მჯდომ ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— აბა, შვილო, გვითხარი, როდის ინებებ და სამუშაოდ გამოხვალ?

ახალგაზრდამ ამრეზილად გადახედა ბერიკაცს და ცალყბად თქვა:

— ასი შრომადღე მიწერია წიგნაკში, მეტი რა გინდათ!

— ჯერ-ერთი, ასი შრომადღე ვაჟკაცისათვის რა მოსატანია, მეორეც, შენისთანა ხალხი ყველაზე კარგ ამინდში საკუთარ ნაკვეთში მუშაობს, ხოლო როცა ავი დარია, მაშინ კოლმეურნეობაში მობრძანდება.

ახლა დარბაზის მეორე კუთხიდან გაისმა ენერგიული წამოძახილი:

— დავით ლორთქიფანიძე ჯანღონით სავსე კაცია, კოლმეურნეობაში არ მუშაობს, უმეტეს დროს ვაჭრობით ერთობა, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთს არა თმობს...

— დავითს არც ყაზარა ოსიპოვი ჩამორჩება, ნახევარი ჰექტარი ვენახი აქვს, კოლმეურნეობაში კი არც თვითონ მუშაობს და არც მისი მეუღლე.

— გოგია ამირაშვილი ინვალიდობს, საზოგადოებრივ შრომაში არ მონაწილეობს. ხოლო თავისა და დედის ვენახს, რომელთანაც ფიქტიურად არის გაყრილი, კარგად უვლის... — გრძელდებოდა წამოძახილები და ბოლოს, როცა გაისმა ყველაზე შრომისმოყვარე კოლმეურნის ხმა — სოფლის ორგულები კოლმეურნეობიდან უნდა გაირიცხონ და საკარმიდამო ნაკვეთებიც ჩამოერთვათო, — დარბაზში კვლავ ტაშმა იგრიალა.

ასე გადმოხეთქა „ნარეკვავმა" იმ დღეს სოფელ მუხრანში.

ორატორს ორატორი ცვლიდა. კოლმეურნეებმა გ. ბერინაშვილმა, გ. ომანაშვილმა, ა. მესროფოვმა, ი. ბიჭიაშვილმა, ა. თვაურმა, გ. ზეიკიძემ, ა. მიქელოვამ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში მხარი დაუჭირეს პატიოსან კოლმეურნეთა წინადადებებს, ცხადყვეს მაღალი შეგნებულობა საზოგადოებრივი ინტერესებისადმი.

არტელს მუშახელი არ აკლია. სხვა თუ არაფერი. აქ 56 კომუნისტი და 60 კომკავშირელია. მხოლოდ საჭირო იყო ძალების სწორი განლაგება, ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევა და, რაც მთავარია, შრომის დისციპლინის განმტკიცება, რომ სერიოზული წინსვლა ქონოდათ.

— რას გვასწავლის წარსული წლის შედეგები? — თქვეს მათ, — უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ზარმაცები, უქნარები უკან სწევენ ჩვენს საერთო საქმეს, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია მკაცრად არ ექცეოდნენ შრომის დისციპლინის დამრღვევთ.

მუხრანში სუსტად იბრძოდნენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, დღემდე არ ხორციელდება თესლბრუნვა.

მუხრანელებს ჰყავთ ახლო მეზობელი. ეს გახლავთ რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძველესი მეურნეობა — მუხრანის საცდელი-სასწავლო მეურნეობა, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ეკუთვნის. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ნორმალურად მიაჩნია ინსტიტუტისა და ამ მეურნეობის ხელმძღვანელებს მუხრანელ კოლმეურნეთა ჩამორჩენა. რა თქმა უნდა, მათ არავინ მოსთხოვს, ვთქვათ, შორეული კოლმეურნეობებისადმი აქტიურ დახმარებას, მაგრამ იქვე, მეზობლად მდებარე არტელთან კეთილი მეზობლობა კი, მითუმეტეს მეცნიერული დახმარება, ვფიქრობთ, არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელიც.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოხატეს კოლმეურნეთა საერთო აზრი — გადააქციონ მიმდინარე წელი გარდატეხის წლად.

მუხრანელებმა განაცხადეს:

— ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ უახლოეს ხანში კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა სულ მცირე სამ მილიონ მანეთს მიაღწიოს. ეს საშუალებას მოგვცემს შემოვიღოთ ყოველთვიური ფულადი ავანსირება; ამისათვის საჭიროა, თვითეულ კომლზე კოლმეურნეობაში გვქონდეს ერთი ჰექტარი ვენახი მაინც. საჭიროა აგრეთვე განვავითაროთ მეღორეობა, მეფრინველეობა, მებოსტნეობა, და მეურნეობის სხვა შემოსავლიანი დარგები, შევქმნათ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზა.

კოლმეურნეთა კრებას ესწრებოდნენ პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი ამხანაგები ზ. მირზიაშვილი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბერუჩაშვილი. უნდა ითქვას, რომ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად არიან ხოლმე მუხრანში, მაგრამ სასურველია, რომ მათი თვითეული მისვლა შესამჩნევ კვალს ტოვებდეს კოლმეურნეობაში, ფერმაში. იმედია, ახლა მაინც უყურადღებოდ არ დატოვებენ პატიოსან კოლმეურნეთა მოთხოვნას და დაეხმარებიან მათ გაწმინდონ კოლმეურნეთა საერთო ოჯახი ზარმაცებისაგან, შრომის დეზერტირებისაგან, იმ არაკეთილსინდისიერი ადამიანებისაგან, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელფეხს უბორკავენ კოლმეურნეობას თავი დააღწიოს ჩამორჩენას, იაროს სულ წინ და წინ.

ა. თომაძე.

გაზეთის ფოსტიდან

◆ **ბათუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა** შავი ზღვის ფლოტის დრამატული თეატრის კოლექტივი. თეატრის რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებს. მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლები „მედოლე ქალი", „პოლკოვნიკის ბედი", „დააკაკუნეთ და გაიღება" და სხვ. წარმოდგენები მრავალ მაყურებელს იზიდავს.

ჯ. დევაძე.

◆ **სოფელ წესის (ამბროლაურის რაიონი)** მშრომელებმა ამ ორი წლის წინათ საკუთარი ძალებით ააგეს კულტურის სახლი. ახლა აქ ფართო კულტურულ-მასობრივი მუშაობაა გაშლილი. ნაყოფიერად მუშაობენ დრამატული, ქორეოგრაფიული, აგრონომიული, ჭრაკერვის შემსწავლელი წრეები. მშრომელთა სიყვარულით სარგებლობს მომღერალთა გუნდი. დრამატულმა კოლექტივმა წარმატებით განახორციელა ისეთი სერიოზული ნაწარმოებების დადგმები, როგორიც არის ალ. ყაზბეგის „არსენა", ვ. გუნიას „და-ძმა", შ. დადიანის „გეგეჭკორი" და სხვ.

ა. კერესელიძე.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„წვრილმანები" — დისონანსი სოფლის ცხოვრებაში"

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „წვრილმანები" — დისონანსი სოფლის ცხოვრებაში". კორესპონდენციაში ნათქვამია, რომ სუფსელებს არა აქვთ სასმელი წყალი, საავადმყოფოს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, გზატკეცილები და ხიდები შესაკეთებელია.

საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომი ამ წერილთან დაკავშირებით გვატყობინებს, რომ რაიკომის ბიურომ იმსჯელა სოფელ სუფსაში შექმნილ მდგომარეობაზე და განახორციელა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბიურომ სუფსის ჩაის ფაბრიკას დაავალა წყალსადენის მაგისტრალური გაყვანილობის მშენებლობა, ხოლო წყალსადენის შიდა სასოფლო ქსელის მოწყობა მინდობილი აქვთ ხიდმაღალასა და ახალსოფლის კოლმეურნეობებს. გათვალისწინებულია საფუძველი ჩაეყაროს და ძირითადად წელსვე დამთავრდეს სუფსის საავადმყოფოს მშენებლობა. მიღებულია ზომები სუფსის ცენტრისა და შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობისათვის. მიმდინარე წლის 9 იანვრიდან 19 იანვრამდე სასოფლო გზების შეკეთების მიზნით მოეწყო ათდღიური. ხიდმაღალასა და ახალსოფლის კოლმეურნეობების გამგეობებს დაევალათ 1960 წელს საფინანსო გეგმებში გაითვალისწინონ თანხები სოფლის ელექტროფიკაციისათვის.

თეთრი ოლიმპიადა

◇ ☐ ჰოკეისტთა ტურნირი ☐ ქალთა ესტაფეტის შესახებ ☐ 80-მეტრიან ტრამპლინის სტარტზე ☐ უკანასკნელი მატჩები ☐ ოლიმპიური ასპარეზობის დახურვა

სკვო ველი, 27 თებერვალი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ოზეროვი იუწყება:

ჰოკეისტთა ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა იყო დღევანდელი მატჩი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის, რომლის შედეგი თითქმის წყვეტდა ოლიმპიადის ოქროს მედლის ბედს. მოიგო რა ანგარიშით 3:2, ამერიკის გუნდი დაუმარცხებლად მიდის, მაშინ როცა უკანასკნელი მატჩის წინ მის უახლოეს მეტოქეებს კანადელ ჰოკეისტებს უკვე დაკარგული აქვთ ორი ქულა.

სსრ კავშირის გუნდმა მატჩი გაითამაშა ოლიმპიური ჩემპიონის წოდების შენარჩუნების დიდი სურვილით. მაგრამ ხელსაყრელი მომენტების გამოყენების უნარის უქონლობამ, ცალკეულ მოთამაშეთა არასაკმაო ტექნიკურმა მომზადებამ და მეკარე პუჩკოვის შეცდომებმა საშუალება მისცა ამერიკელ ჰოკეისტებს მოეგოთ შეხვედრა.

მორიგ შეხვედრაში თამაშობდნენ ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის გუნდები. მატჩი მოიგეს ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა ანგარიშით 9:1 (3:1, 4:0, 2:0).

დამთავრდა ეგრეთწოდებული „მანუგეშებელი ტურნირი", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ფინეთის, იაპონიისა და ავსტრალიის ჰოკეისტთა გუნდები. შეჯიბრების ორი წრის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა შეაგროვა ფინეთის გუნდმა, რომელმაც ამრიგად მეშვიდე ადგილი დაიკავა ტურნირის საერთო ცხრილში. იაპონელმა ჰოკეისტებმა დაამარცხეს ავსტრალიის გუნდი ანგარიშით 11:3 და მერვე ადგილზე გავიდნენ. უკანასკნელი მეცხრე ადგილი დაიკავა ავსტრალიის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა წააგო.

ბევრი მღელვარება განაცდევინა მაყურებლებს ჰოკეისტთა ფინალური ოლიმპიური ტურნირის მესამე მატჩმა შვეციისა და კანადის გუნდებს შორის. პირველი პერიოდი კანადელმა ჰოკეისტებმა წააგეს ანგარიშით 1:4. მაგრამ შემდეგ მათ მოიკრიბეს ძალღონე და ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 6:5, (1:4, 1:0, 4:1).

• • •

იმასთან დაკავშირებით, რომ გამჟღავნებულმა კინოფირმა, რომელზეც აღბეჭდილი იყო ინციდენტი, რაც მოხდა 26 თებერვალს, 3×5 კილომეტრი სათხილამურო ესტაფეტის მსვლელობაში ქალთა შორის, არ დაადასტურა შვედი მოთხილამურის მხრივ შეჯიბრების წესების დარღვევა, სსრ კავშირის სათხილამურო ფედერაციამ მოხსნა თავისი პროტესტი.

ესტაფეტაში გამარჯვებულად აღიარებულ იქნა შვედ მოთხილამურე ქალთა გუნდი. მას გადაეცა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი. სსრ კავშირის გუნდმა მიიღო ვერცხლის მედალი. ფინეთის მოთხილამურეებმა მოიპოვეს ბრინჯაოს მედალი.

საბჭოთა სპორტსმენების რეკორდები

28 თებერვალს ყინულის ბილიკებზე ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე მოციგურავეთა თხოვნით გაიმართა გარბენები 500 და 1.500 მეტრ დისტანციებზე ეროვნული რეკორდების გასაუმჯობესებლად.

ბრწყინვალე შედეგს მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა ევგენი გრიშინმა და ბორის სტენინმა.

შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენმა ევგენი გრიშინმა პირველად საციგურაო სპორტის ისტორიაში გადალახა 40 წამის ზღვარი 500 მეტრ დისტანციაზე რბენაში, აჩვენა რა ფენომენალური შედეგი — 39,6 წამი.

ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ამ დისტანციაზე რბენაში 1956 წლიდან ეკუთვნის ე. გრიშინს — 40,2 წამი.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბორის სტენინმა, რომელმაც სტარტი აიღო 1.500 მეტრ დისტანციაზე გარბენაში, გააუმჯობესა ოფიციალური ოლიმპიური რეკორდი, აჩვენა რა 2 წუთი და 07,7 წამი.

ოფიციალური ოლიმპიური რეკორდი ამ დისტანციაზე — 2 წუთი და 08,6 წამი — ეკუთვნით ე. გრიშინსა და ი. მიხაილოვს.

სხვა გარბენებში საბჭოთა მოციგურავეებმა აჩვენეს შემდეგი შედეგები: 500 მეტრზე — რ. გრაჩმა — 40,6 წამი, ი. მალიშევმა — 40,9 წამი. 1.500 მეტრზე — ე. გრიშინმა — 2 წუთი და 08,2 წამი, ო. გონჩარენკომ — 2 წუთი და 11,6 წამი, ვ. კოტოვმა — 2 წუთი და 11,9 წამი.

• • •

გამოირკვა ზამთრის VIII ოლიმპიური ასპარეზობის შეჯიბრებათა უკანასკნელი სახეობის — 80-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის გამარჯვებული.

ორი ცდის შედეგად უძლიერესი ამოჩნდა გერმანელი ჰ. რეკნაგელი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც გადახტა 93,5 მეტრსა და 84,5 მეტრზე. მან შეაგროვა 227 ქულა. ვერცხლის მედალი მოიპოვა ფინეთის წარმომადგენელმა ნ. ჰალონენმა. იგი გადახტა 92,5 მეტრსა და 83,5 მეტრზე და მიიღო 226,6 ქულა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ავსტრიელი ო. ლეოდოლტერი. მისი ორი ნახტომი — 88,5 მეტრსა და 83,5 მეტრზე — მსაჯებმა 219,4 ქულით შეაფასეს.

მეოთხე ადგილი დაიკავა საბჭოთა მოთხილამურე ნ. კამენსკიმ. მას აქვს 216,9 ქულა. მისი პირველი ნახტომი იყო 90,5 მეტრი, რის შედეგადაც მან მესამე ადგილი დაიკავა პირველ ცდაში, მაგრამ მეორე — 79-მეტრიანმა ნახტომმა იგი საპრიზო ადგილზე ვერ გამოიყვანა. სხვა საბჭოთა სპორტსმენებმა კ. წაქაძემ და ნ. შამოვმა დაიკავეს მე-9 და მე-10 ადგილები.

* * *

შვეციისა და გერმანიის ჰოკეისტთა მატჩი დამთავრდა შვედ სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 8 : 2. მათ მოაგროვეს სამი ქულა და მეხუთე ადგილი დაიკავეს. გერმანიის გუნდმა, რომელიც შედგებოდა დასავლეთ გერმანიის კლუბების მოთამაშეთაგან, ფინალურ ტურნირში ყველა შეხვედრა წააგო და უკანასკნელი — მეექვსე ადგილი დაიკავა.

გაიმართა VIII ოლიმპიადის ჰოკეისტთა ტურნირის უკანასკნელი მატჩი, რომლის შედეგადაც გამოირკვა ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის მეორე და მესამე პრიზიორები. ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და კანადის გუნდები. თამაში დაძაბული ბრძოლით მიმდინარეობდა, მწვავე მომენტები იქმნებოდა ხან ერთ, ხან მეორე გუნდის კართან. გაიმარჯვეს კანადელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 8 : 5 (3 : 0, 1 : 3, 4 : 2), რამაც მოუპოვა მათ ოლიმპიური ვერცხლის მედალი. წინა ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონები — საბჭოთა ჰოკეისტები ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ.

• • •

28 თებერვალს 16 საათსა და 40 წუთზე (29 თებერვალს 3 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) ჩაქრობილ იქნა ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც თერთმეტი დღის განმავლობაში ენთო აქ „ერების კოშკის" წინ. ზამთრის VIII ოლიმპიური ასპარეზობა დახურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა.

„ნადირობის შემდეგ".

ფოტოეტიუდი დ. ტატიშვილის და ა. მაჭავარიანისა.

ფოტოგამოფენა

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი აწყობს მხატვრული ფოტოსურათების გამოფენას, რომელიც ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

გამოფენაზე მიიღებენ ნაშრომებს, რომლებიც გვიჩვენებენ გზას, რაც რესპუბლიკის მშრომელებმა განვლეს საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წელიწადში, წარმატებას, რაც მიღწეულია სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგში, კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელთა, შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის მოწინავეთა პორტრეტებს.

ყოველი ნაშრომი, რომელსაც გამოფენაზე მიიღებენ, უნდა აკმაყოფილებდეს ფოტოხელოვნების მაღალ მოთხოვნებს, იყოს კომპოზიციურად დამთავრებული.

გამოფენაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ყველა მსურველმა — ფოტოკორესპონდენტებმა, ფოტომუშაკებმა და ფოტომოყვარულებმა.

გამოფენაში ფოტოკორესპონდენტების — სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრების მონაწილეობა სავალდებულოა.

საკონტროლო ფოტოსურათები 13×18 სანტიმეტრი ზომის უნდა გამოიგზავნოს 1960 წლის 1 ოქტომბრამდე შემდეგი მისამართით: ქალაქი თბილისი, ლენინის ქუჩა, 14, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციას. აღნიშვნით „ფოტოგამოფენისათვის". შერჩეული ნაშრომებისათვის გამოყოფილ იქნება სპეციალური ქაღალდი. ეს ნამუშევრები გამოფენაზე ექსპონირებულ იქნება 40×50 სანტიმეტრი ზომისა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად

მიმდინარე წლის ივლისში სრულდება გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი.

ამ თარიღის აღნიშვნის ღონისძიებათა შესამუშავებლად შეიქმნა საიუბილეო კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), აბაშიძე, გ. აბზიანიძე, ქ. გარდაფხაძ ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლ ძე, გ. ლეონიძე, ა. მაჭავარიანი, ა. მირ ცხულავა, გ. ნატროშვილი, ვ. ურუშაძ ს. ჩიქოვანი, დ. ჩხიკვიშვილი, დ. შე გელაია. (საქდესი).

შემთხვევები

ფაუნის მტრები

ტყის პირას თოფმა იქუხა, ლაგოდეხელმა „მონადირემ" ა. სიყმაშვილმა სიხარულით დასძახა:

— ნიშანში მოხვდა, ჩამოვაგდე! — და აჩქარებით მიუახლოვდა ნანადირევს. ხელში აიტაცა სასიკვდილოდ დაჭრილი ხოხობი.

ძვირფასი ფაუნის განადგურებაში არც ხობელი რ. ბერიშვილი ჩამორჩა. მან დედალ ხოხობს მოუღო ბოლო.

ოჩამჩირელმა ბრაკონიერებმა ვ. შ ბითიძემ, ვ. გოგოლაძემ და ა. ჭკადუ თავი აიშვეს. ერთ დღეს კარგად „შეიარაღდნენ" და მთისაკენ გასწიეს.

— ბიჭო, ხედავ კორტოხზე? — თქვა ერთმა.

— რა კარგია, მოიცა, ჯერ არ ესროლო! — შესძახა მეორემ. სამივენი ტკბებოდნენ ლამაზი შვლის კუნტრუშით. მაგრამ ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელებულა. იგრიალა თოფმა და შველი დაეცა.

ბრაკონიერთა აღვირახსნილობა შეუმჩნეველი როდი დარჩა. სათანადო ორგანოებმა გამოავლინეს მათი დანაშაული, და ფაუნის მტრები ღირსეულად დაისაჯნენ.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

საზღვარგარეთ

მეგობრობის სიმბოლო

პარიზი, 27 თებერვალი. (საქდესი). საბჭოთა კინოს მოღვაწეთა დელეგაციამ ცნობილი კინორეჟისორის ი. პირიევის მეთაურობით, რომელიც დაესწრო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პირველი ერთობლივი ფილმის „ნორმანდია-ნემანის" პრემიერას, 26 თებერვალს საღამოს გამართა პრესკონფერენცია.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ი. პირიევმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ, საბჭოთა კინემატოგრაფისტებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრით, ფილმი „ნორმანდია-ნემანი" კინოხელოვნების დიდი მომხიბვლელი ნაწარმოებია, რომელიც აღადგენს ფრანგი ხალხისა და საბჭოთა ხალხის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს.

„ნორმანდია-ნემანი", — თქვა შემდეგ ი. პირიევმა, — საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პირველი ფილმია. დარწმუნებული ვართ, რომ იგი დასაბამს მისცემს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის კინომუშაკთა ნაყოფიერ თანამშრომლობას. მშვიდობითა და მეგობრობით რომ ვიცხოვროთ, საჭიროა უკეთ ვიცნობდეთ ერთმანეთს. კინოხელოვნებას შეუძლია დიდად შეუწყოს ხელი ასეთ ურთიერთგაცნობას.

ი. პირიევმა ყველა ფრანგ კინომუშაკს გადასცა საბჭოთა კოლეგების სალამი და დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა მათ.

სიტყვა აიღო ინჟინერ-პოლკოვნიკმა ს. აღაველიანმა. ერთ-ერთმა საბჭოთა ოფიცერმა, რომელიც ფრანგი მფრინავების მხარდამხარ იბრძოდა ომის წლებში. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ფილმის შემქმნელთ და თქვა, რომ „ნორმანდია-ნემანის" პოლკის საბრძოლო საქმეები და ფილმი, რომელიც მის საგმირო საქმეებს მოგვითხრობს, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხების მეგობრობის სიმბოლოა.

შემდეგ გამოვიდა სურათის რეჟისორი ჟან დრევილი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფილმმა დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთისა და სსრ კავშირის დაახლოებას. დრევილმა მოუწოდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის კინომუშაკებს განავითარონ თანამშრომლობა.

პრესკონფერენცია გადაცემულ იქნა საფრანგეთის ტელევიზიით.

ისრაელის საზღვარზე

ქაირო, 27 თებერვალი, (საქდესი). დაძაბული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის საზღვრებზე, ქაიროს პრესის ყურადღების ცენტრშია.

გაზეთ „აჰბარ ელ-იაუმის" პოლიტიკური მიმომხილველი, კომენტარს უკეთებს რა ახლანდელ დაძაბულობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის ურთიერთობაში, წერს: „საზღვარგარეთიდან მიღებული ცნობებით, ისრაელი საიდუმლოდ ინახავდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეზღუდული მასშტაბით სამხარი ოპერაციების განხორციელების გეგმას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისრაელის ხელმძღვანელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა არ დაუშვებს ლოკალიზებულ სამხარ მოქმედებას და რომ შეზღუდულ სამხარ მოქმედებას მოჰყვება ომი ორ ქვეყანას შორის, მათ მიმართეს პროპაგანდისტული ომის მეთოდებს".

როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი" იუწყება, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ტექსტი დაზავების პირობების შესრულების სამეთვალყურეო ორგანიზაციის შტაბის უფროსის გენერალ ფონ ჰორნის მოხსენებისა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის დაზავების ხაზზე მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „დაზავების ხაზზე წარმოშობილი დაბრკოლებები აიხსნება ისრაელის სასოფლო-სამეურნეო მიწების გაფართოებით აღმოსავლეთში".

დამასკო, 27 თებერვალი, (საქდესი). კომენტარს უკეთებს რა დაზავების პირობების შესრულების სამეთვალყურეო ორგანიზაციის მოხსენებას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნა, გაზეთი „ალვაჰდა" წერს, რომ არაბთა წრეების აზრით, ისრაელის შეიარაღებული ძალების ყოფნა დემილიტარიზებულ ზონაში არღვევს შეთანხმებას დაზავების შესახებ.

ლონდონი, 27 თებერვალი, (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი თელ-ავივიდან იუწყება, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენ-გურიონმა პარლამენტის საგარეო საქმეთა და უშიშროების საკითხთა კომისიაში გააკეთა განცხადება სირია-ისრაელის საზღვარზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ბენ-გურიონის გამოსვლის ხასიათის შესახებ არაფერს არ იუწყებიან.

იუსტიციის მინისტრმა პინჰას როზენმა, ნათქვამია კორესპონდენციაში, ბენ-გურიონთან კონსულტაციის შემდეგ განაცხადა, რომ „უახლოეს დროში არ არის მოსალოდნელი სამხარი მოქმედების დაწყება". მან გამოთქვა ვარაუდი, რომ აქტივობა სირია-ისრაელის საზღვარზე აიხსნება „ეგვიპტის უსაფუძვლო შიშით, რომ ისრაელი აპირებს თავდასხმას".

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ადგილობრივ მეთვალყურეებს თელ-ავივში მიაჩნიათ, რომ ახლანდელი დაძაბულობა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის საზღვარზე „გამოწვეულია ორივე მხარის უსაფუძვლო ეჭვით". მიუხედავად ამისა, გამოცდილი მეთვალყურენი „კვლავ ფიქრობენ, რომ მტრულად განწყობილი დიდძალი ჯარების თავმოყრას საზღვარზე, სადაც მდგომარეობა არასოდეს არ არის სტაბილური, შეიძლება მოჰყვეს დიდი ხანძარი".

თანამშრომლობა მშვიდობისათვის

ლონდონი, 29 თებერვალი. (საქდესი). „ინგლისმა უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან მშვიდობისათვის და არა ამერიკელებთან ომისათვის", — განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარემ ჰარი პოლიტმა, რომელმაც გუშინ სიტყვა წარმოთქვა მანჩესტერში. სავსებით დაუჭირა რა მხარი საბჭოთა მთავრობის გეგმას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა რომ ხელი მოაწერონ მშვიდობის პაქტს, მაშინ ვერც ერთი ქვეყანა ომის დაწყებას ვერ გაბედავდა.

შეეხო რა დასავლეთ გერმანიის ცდას —სამხედრო ბაზები შექმნას ფრანკისტული ესპანეთის ტერიტორიაზე, პოლიტმა გამოთქვა გაფრთხილება: „ჰიტლერი, რომელიც ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, თავს დაესხა ინგლისს. ასევე შეიძლება მოიქცეს ადენაუერიც".

ნერუს ვიზიტი სურატგარჰში

დელი, 27 თებერვალი. (საქდესი). გუშინ პრემიერ-მინისტრი ნერუ ეწვია ცენტრალურ მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო ფერმას სურატგარჰში, რომელიც შექმნილია ინდოეთის მიერ საბჭოთა კავშირისაგან საჩუქრად მიღებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ბაზაზე. ფერმის დათვალიერების დროს ნერუ დაინტერესდა სარწყავი სისტემის მოწყობილობით. და საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობით.

დეპუტატი გიულეი აცხადებს...

ანკარა, 27 თებერვალი. (საქდესი). სიტყვა წარმოთქვა რა მეჯლისში უშიშროების მთავარი სამმართველოსა და ჟანდარმთა სამმართველოს ბიუჯეტების განხილვის მსვლელობაში, დეპუტატმა გიულეიმ ,ოპოზიციური სახალხო რესპუბლიკური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სახელით განაცხადა, რომ მმართველმა დემოკრატიულმა პარტიამ თურქეთში დაამყარა პოლიციური რეჟიმი. თურქ ერს, თქვა მან, სძულს ეს რეჟიმი და გადაჭრით უარყოფს მას.

ოპოზიციის დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მთელი რიგი კანონები, და კერძოდ კანონი, რომელიც კრძალავს კრებებისა და დემონსტრაციების მოწყობას წინასწარი ნებართვის მიუღებლად, ეწინააღმდეგება თურქეთის კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო.

დეპუტატმა ატეშალპმა განაცხადა, რომ პოლიციასა და ჟანდარმერიას, რომელთა დანიშნულებაა უზრუნველყონ წესრიგი და სიმშვიდე სახელმწიფოში, დემოკრატიული პარტიის მესვეურნი იყენებენ უწინარეს ყოვლისა ოპოზიციის დევნისათვის.

აგრესიული პაქტი

ყარაჩი, 27 თებერვალი. (საქდესი). დღეს ყარაჩიდან აბადანში გაფრინდნენ ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და თურქეთის პრეზიდენტი ჯელიალ ბაიარი. პაკისტანში შვიდი დღის ყოფნის დროს ისინი პაკისტანის პრეზიდენტ აიუბ-ხანთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას სენტოს აგრესიული პაქტის განმტკიცების შესახებ. შეხვედრების დროს, როგორც პრესაში აღნიშნულია, მათ განიხილეს სენტოს ფარგლებში უფრო მჭიდრო სამხედრო და ეკონომიური თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ეგრეთწოდებული „კომუნიზმის შეღწევის" წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გზები.

ყარაჩის რადიოს ცნობით, პრეზიდენტმა აიუბ-ხანმა დღეს პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან ორი სახელმწიფოს მეთაურებს გააცნო პაკისტანის თვალსაზრისი ავღანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

კანცლერ ადენაუერის სიტყვა და საქმე

ძნელია იმის თქმა, რომ დასავლეთ გერმანიის კანცლერი კონრად ადენაუერი ესწრაფოდეს ახალ, რეალისტურ პოლიტიკას, კვალდაკვალ მიჰყვებოდეს დროს. ძველი მოდის კანცლერი არასოდეს არ მალავდა თავის ძველი მოდის შეხედულებებს. თავის უკანასკნელ სტატიაში, რომელიც 27 თებერვალს დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ „ენფორმასიონში", ადენაუერი კვლავ ილაშქრებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ და სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის თვით პროცესსა და იმ სიტყვებს, რომლებიც ამ პროცესს ასახავენ, „მოდურს" უწოდებს. ამასთან სიტყვა „მოდური" კანცლერის ბაგეთაგან თითქმის ანათემასავით გაისმის.

ადენაუერს, როგორც ჩანს, სურს სხვებმაც მასავით არ დაინახონ ყოველივე ის, რაც ახლა მსოფლიოში ხდება, და ირწმუნება, რომ ახალსა და სასიხარულოს ვერაფერს ამჩნევს, რომ მსოფლიო, თუ პირველქმნილი სახით არა, ყოველ შემთხვევაში „ცივი ომის" ყველაზე ცუდი დროის გაყინულ მდგომარეობაშია. და იმაში, რომ ადენაუერს ყოველგან ელანდება საფრთხე და რომ იგი მსოფლიოს ჰორიზონტზე წყვდიადის გარდა ვერაფერს ხედავს, რა თქმა უნდა, ბრალი საბჭოთა კავშირს მიუძღვის... დაძაბულობის შენელება, გაიძახის კანცლერი, საბჭოთა „პროპაგანდაა" და მეტი არაფერი. გამოცდილებამ გვასწავლა, წერს ადენაუერი, რომ სიტყვებს „დაძაბულობის შენელება" უნდა „მივუდგეთ ეჭვით, როცა სსრ კავშირი კარგ სიტყვებს სჯერდება და არ კისრულობს არავითარ ვალდებულებას".

„საქმე სიტყვაზე ძვირფასია", — იმეორებს ცნობილ ჭეშმარიტებას კანცლერი და ჰგონია, რომ მსოფლიოს შეუძლია დაივიწყოს, თუ ვინ წამოაყენა საყოველთაო და სრული განიარაღების კონკრეტული პროგრამა, შემდეგ კი საქმით გაბედულად ვინ აჩვენა მაგალითი — შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები 1.200 ათასი კაცით, თუ ვინ იბრძვის შეუპოვრად ატომური იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტისათვის, ვინ სახავს ევროპის ცენტრში დაძაბულობისა და შიშის კერის აღმოფხვრის რეალურ პროგრამას.

„ჩვენ მოვალენი ვართ, ისევე როგორც წინათ, გავითვალისწინოთ ის საშინელი ჭეშმარიტება, — აცხადებს ადენაუერი, — რომ ახლანდელ სიმშვიდეს არა აქვს ეთიკური ბაზა, რომელზეც დაყრდნობა შეიძლებოდეს".

„საშინელი ჭეშმარიტება", თუ ვისარგებლებთ კანცლერის ტერმინოლოგიით, სინამდვილეში მართლაც არსებობს, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, იგი სრულიადაც არ ქმნის იმ სიმშვიდეს, რომლის შესახებაც ლაპარაკობს გაზეთ „ენფორმასიონში" დაბეჭდილი სტატიის ავტორი. ამ ჭეშმარიტებამ უკანასკნელ დღეებში შეაშფოთა მთელი ევროპა. ამ ჭეშმარიტების შესახებ ალაპარაკდა მთელი მსოფლიოს პრესა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტებში მიდის უამრავი შეკითხვა ადენაუერისა და ფრანკოს მთავრობათა იმ ფარული შეთანხმების შესახებ, რომ ესპანეთის ტერიტორიაზე შექმნან დასავლეთ გერმანიის სამხედრო ბაზები.

რა „სიმშვიდეზე" შეიძლება ლაპარაკი, როცა, როგორც აღნიშნავს პარიზის გაზეთი „კრუა", მსოფლიოში სუფევს „საყოველთაო მტრული დამოკიდებულება ესპანეთში დასავლეთ გერმანიის ბაზების შექმნისადმი", ხოლო ლონდონის „ნიუს ქრონიკლი" გაფრთხილებას იძლევა: „თუ ნატო არ შეაჩერებს თავის ამბოხებულ სამეურვეო პირს (აქ, ცხადია, საჭირო არ არის დავაზუსტოთ, თუ ვის შესახებ არის ლაპარაკი. — მიმომხილველის შენიშვნა), ჩვენ შეგვიძლია გამოვეთხოვოთ განიარაღებისა და ბერლინის საკითხის მოწესრიგების იმედებს".

ასეთი პერსპექტივა, რა თქმა უნდა, არ აწუხებს ადენაუერს. ის, რომ განიარაღება არ მოხდება, ხოლო ბერლინის საკითხი გადაუჭრელი დარჩება — სავსებით შეესაბამება ადენაუერის პროგრამას — დასავლეთ გერმანიის შეიარაღების ფორსირების, მის ტერიტორიაზე ატომური რაკეტული ბაზებისა და საწყობების გაფართოების, საკუთარი დასავლეთგერმანული ბაზების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შექმნის — პროგრამას.

რაც შეეხება „ეთიკურ ბაზას", რომელზეც ლაპარაკობს კანცლერი თავის სტატიაში, ადენაუერს როდი სჭირდება, რომ იგი მსგავსად დიოგენისა, ანთებული სანთლით ეძებოს დღისით მზისით. ბონში, რა თქმა უნდა, ისევე როგორც მადრიდში, კარგად ახსოვთ, რა „ეთიკური პრინციპები" ედო საფუძვლად ჰიტლერისა და ფრანკოს პოლიტიკურ, სამხედრო და სხვაგვარ თანამშრომლობას ოცდაათიან წლებსა და ორმოციანი წლების დასაწყისში. ეს ახსოვთ, ცხადია, სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ, არა გვგონია „საქმისა და სიტყვის" შესახებ მსჯელობით კანცლერმა ადენაუერმა საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს იმ სკანდალს, რომლის ცენტრში თვითონ აღმოჩნდა გენერალ ფრანკოსთან ერთად.

ი. ორლოვი,
საქდესის მიმომხილველი.

120 მილიონი დოლარის შეკვეთები

ნიუ-იორკი, 28 თებერვალი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კორესპონდენტი ჩარლზ კორდრაი ვაშინგტონიდან იუწყება, აქ ცნობილი გახდა, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ ახალი ნაბიჯი გადადგა მძლავრი სამხედრო ავიაციის შესაქმნელად და ამერიკის „მეისის" მარკის მართული ყუმბარების მისაწოდებლად გაანაწილა 120 მილიონი დოლარის შეკვეთები.

ბონის მთავრობის ახლანდელი გეგმების შესაბამისად, აღნიშნავს კორდრაი, შუა სამოციანი წლებისათვის დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები რიცხობრივად ყველაზე მძლავრი უნდა გახდნენ დასავლეთ ევროპაში.

უკანასკნელ ხანს უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ესპანეთის მთავრობებს შორის წარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.



ქველი სიყვარულის ეშხით.

ნახ. ი. ნემსაძისა.

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 27 მარტს, 24 აპრილს და 22 მაისს თბილისში, ხოლო 13 მარტს, 10 აპრილს, 8 მაისს და 5 ივნისს თელავის, გორის, ახალციხისა და წნორის სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა: თბილისში — ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 32), თელავსა და გორში — პედაგოგიური ინსტიტუტების შენობებში, ახალციხეში — პირველი საშუალო სკოლის შენობაში, ხოლო წნორში — ქართული საშუალო სკოლის შენობაში.

კონსულტაციების ცხრილის გაცნობა შეიძლება საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთან.

კონსულტაციები დაიწყება თბილისში 10 საათიდან, საკონსულტაციო პუნქტებში კი — 11 საათიდან.

ამავე დღეებში როგორც თბილისში, ისე საკონსულტაციო პუნქტებში აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისათვის იწარმოებს გამოცდები ცხრილით გათვალისწინებულ დისციპლინებში.

სტუდენტებს შეუძლიათ წერილობითი კონსულტაციისათვის მიმართონ დაუსწრებელ განყოფილებას.

ის სტუდენტები, რომლებიც აკადემიურ დავალიანებას არ დაფარავენ მიმდინარე წლის პირველ მაისამდე, არ იქნებიან დაშვებული ზაფხულის სასწავლო-საგამოცდო სესიაზე.

პირველი მაისის შემდეგ საკონტროლო სამუშაოები არ მიიღება და სტუდენტი შესაბამის საგანში გამოცდაზე არ იქნება დაშვებული.

შენიშვნა: დასავლეთ საქართველოს რაიონებში მცხოვრებ დაუსწრებელ სტუდენტებს კონსულტაციები შეუძლიათ მიიღონ ბათუმის, სოხუმის, ზესტაფონისა და ცხაკაიას საკონსულტაციო პუნქტებში, სადაც კონსულტაციები დანიშნულია 20 მარტს, 17 აპრილს და 22 მაისს.

ზემოაღნიშნულ პუნქტებში კონსულტაციები გაიმართება ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილების მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის II და III კურსების სტუდენტებისათვის სპეციალურ დისციპლინებში გაიმართება კონსულტაციები ცხაკაიას საკონსულტაციო პუნქტში 20 მარტს, 17 აპრილს და 22 მაისს.

1 მარტი

თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია, **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა, **მუსიკალური კომედიის** — ჭირვეული ქმრის მორჯულება (მე-3 აბონ. მე-4 წარმ., სომხური დრამის თეატრში), **სანკულტურის** — სიცოცხლის ტყე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომეტა ბ-2 (აბ. № 25, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — სიცოცხლის ყვავილი (12 ს. და 4 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — განკიცხულნი, ამირანი, **ისანი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ადამს სურს იყოს ადამიანი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, კომუნარების ბაღი** — ერთი ნახვით შეყვარება, **თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ამბავი ერთი ქალიშვილისა, **ოფიცერთა სახლი** — მწარე სიყვარული, **კოლმეურნე, თანამგზავრი** — მე შენ გეძებ, **დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი** — უკანასკნელი დაბრუნება, **ყაზბეგი** — საბრალო შეყვარებულთა ამბავი.

* * *

ტელევიზია

19.00 — „სკოლების დასახმარებლად" — „აკაკი წერეთელი", 20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა — „ქალები მედიცინის სამსახურში", 20.25 — კინონარკვევი, 20.55 — უკანასკნელი ცნობები, 21.05 — ახალი მხატვრული ფილმი „ფურტუნა".

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღებისა — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 00357 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.